კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ივერი ჭაღალიძე

საქართველოს სავაჭრო ბალანსი და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ დუდაური - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

თანამედროვე ეტაპზე საგარეო ვაჭრობა განიცდის ხარისხობრივი გარდაქმნების რთულ პერიოდს, რომელიც დაკავშირებულია გლობალიზაციის ტენდენციების განვითარებასთან და მსოფლიო ეკონომიკის პოსტინდუსტრიულ ტრანსფორმაციასთან.

საქართველო უკვე მესამე ათწლეულია მიყვება დამოუკიდებელი განვითარების გზას და მთელი ამ ხნის განმავლობაში სავაჭრო ბალანსის სალდო უარყოფითია. მართალია წლიდან წლამდე იზრდება ქართული პროდუქციის ექსპორტი, მაგრამ ამასთან ძალიან მაღალია ქვეყანაში იმპორტზე შემოსული საქონლის მოცულობები. ქვეყნის სავაჭრო ბალანსის უარყოფით ან დადებით სალდოსადმი მიმართება დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის მდგომარეობას მსოფლიო მეურნეობის სისტემაში, პარტნიორებთან საქმიანი კავშირების თავისებურებებს, სავაჭრო ბალანსის ძირითადი სტატიების ხასიათს, კუთრ წონას და ა.შ.

ამიტომაც საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის ახალ დონეზე აყვანა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, რაც დამოკიდებულია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლებასთან და იმპორტ შემცვლელი პროდუქციის წარმოების გაზრდასთან. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს საექსპორტო საქონლის მწარმოებელთა სტიმულირება, გასაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროებში, დაეხმაროს ქართველ მეწარმეებს თავიანთი პროდუქციის რეკლამირებაში საზღვარგარეთ, რაც გახდება სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების საწინდარი.

Annotation

Trade balance of Georgia and prospects for its improvement in globalization

Iveri Tchagalidze

In the modern stage foreign trade is experiencing a difficult period of qualitative transformations related to the development of globalization trends and the post-downtrodden transformation of the world economy.

Georgia has been in the third decade following the path of independent development and the balance of trade balance for the whole time is negative. It is true that export of Georgian products is increasing year by year, but it is also very high in the volume of goods imported into the country. Negative or positive balance of the country's trade balance depends on a number of factors affecting the state of the country in the world economy system, peculiarities of business connections with partners, character of the main articles of trade balance, tier weight, etc.

That is why it is important for the development of the Georgian economy and the new level of foreign trade and the improvement of the trade balance, depending on the country's export potential and the increase of import substitute products. The Georgian authorities should stimulate the exporters of export goods, provide agricultural products and processing industries, help Georgian entrepreneurs to advertise their products abroad, which will become a prerequisite for improving trade balance.

შინაარსი

შესავალი---------- 5

თავი 1. სავაჭრო ბალანსის არსი და მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკისათვის გლობალიზაციის პირობებში---------- 10

1.1. საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო ბალანსის თეორიები---------- 10

1.2. საერთაშორისო ვაჭრობის სახეები, სტრუქტურა და განვითარების მიმართულებები ---------- 18

1.3. საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება და სახელმწიფოს, როგორც მარეგულირებლის, როლი და მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობის განვითარებაში---------- 25

თავი 2. საქართველოს სავაჭრო ბალანსის თანამედროვე მდგომარეობა და მისი შეფასება გლობალიზაციის პირობებში---------- 32

2.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობისა და სავაჭრო ბალანსის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი---------- 32

2.2. საქართველოს სავაჭრო ბალანსის განვითარების დინამიკა გლობალიზაციის პირობებში---------- 38

2.3.საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებაში არსებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები---------- 42

თავი 3. საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში---------- 45

3.1. ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები--------- 45

3.2. კვლევა: საქათველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საკითხები---------- 47

3.2. საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში---------- 55

დასკვნა---------- 58

გამოყენებული ლიტერატურა---------- 64

დანართი----------
68

შესავალი

თემის აქტუალობა. გლობალიზაციის პირობებში წარმოიშვება ცალკეული ქვეყნების ეკონომიკების მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების სისტემაში ურთიერთქმედების ოპტიმიზაციისა და ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფის პრობლემები. ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო ვაჭრობას. იგი მრავალი საუკუნის მანძილზე იყო და რჩება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი ზემოქმედების ფორმად და ინარჩუნებს ეროვნული ეკონომიკების და მთლიანობაში მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორის როლს.

თანამედროვე ეტაპზე საგარეო ვაჭრობა განიცდის ხარისხობრივი გარდაქმნების რთულ პერიოდს, რომელიც დაკავშირებულია გლობალიზაციის ტენდენციების განვითარებასთან და მსოფლიო ეკონომიკის პოსტინდუსტრიულ ტრანსფორმაციასთან. ეს ტენდენციები ნახულობენ თავიანთ ასახვას საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან ლიბერალიზაციაში, როცა ქვეყნების რესურსები და ბაზრები ხდება სულ უფრო ხელმისაწვდომი უცხოელი მწარმოებლებისათვის; ტრანსნაციონალური სტრუქტურების წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის და ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონის კონკურენტუნარიანობის ფორმირებაში; მსოფლიო ეკონომიკაში ამ სტრუქტურების მიერ გაბატონებული მდგომარეობის შეძენაში; გლობალური ბაზრების წარმოშობაში; ინფორმაციის, ცოდნის და მათი დახმარებით წარმოებული

ინოვაციების გარდაქმნაში მთავარ რესურსად კონკურენტულ ბრძოლაში და მოგების გაზრდაში.

მსოფლიო საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე ცვლილებები წარმოქმნიან ეროვნული ეკონომიკებისათვის ახალ გამოწვევებს, რომლებზეც სათანადო რეაგირება ყველა ქვეყანას არ შეუძლია, რაც აძნელებს მათ ინტეგრაციას თანამედროვე მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების სისტემაში. ნათქვამი სრულად ეხება საქართველოს ეკონომიკასაც.

თანამედროვე ქართულ ეკონომიკაში მიმდინარეობს ექსპორტისა და იმპორტის დინამიკისა და სასაქონლო სტრუქტურის დაშორება შრომის საერთაშორისო განაწილებისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების საკვანძო ტენდენციებიდან. თავის საგარეო სავაჭრო ურთიერთობაში საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ ორიენტირდება ძირითადად მცირე რაოდენობით სოფლის მეურნეობის პროდუქციის და ნედლეულის ექსპორტზე და სამომხმარებლო პროდუქციის უდიდესი ნაწილის იმპორტზე, რაც იწვევს ექსპორტ-იმპორტს შორის დიდ უარყოფით სალდოს. ამ პირობებში იზრდება ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების დასაბუთებული, ხანგრძლივვადიანი სტრატეგიის არჩევის მნიშვნელობა, რომელიც გაითვალისწინებს ჩამოყალიბებულ საერთო მსოფლიო ტენდენციებს, რაც თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს განხორციელდეს ქვეყნის არსებული შესაძლებლობებისა და პოტენციური კონკურენტული უპირატესობების სრული რეალიზაცია, ასევე გაზრდის საგარეო ვაჭრობის წვლილს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და დააკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

საერთაშორისო ვაჭრობის არსის, ორგანიზაციის პრინციპებისა და განვითარების ტენდენციების მიმართ ინტერესის მიუხედავად ბოლომდე არ არის დაძლეული თეორიული და მეთოდოლოგიური განუსაზღვრელობა საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორების და ეროვნული ეკონომიკაზე მათი გავლენის გათვალისწინების საკითხებში. მოითხოვს სისტემატიზაციასა და

გააზრებას ისეთი საკითხი, როგორიცაა საერთაშორისო ვაჭრობაზე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციების გავლენა. თავის აქტუალობას ინარჩუნებს მსოფლიო გამოცდილების განზოგადებისა და ადაპტაციის საფუძველზე საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სტრატეგიულ მიმართულებების დახვეწის საკითხის დამუშავება.

საქართველოს სავაჭრო კავშირების ინტენსიური განვითარება, მისი ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში მოითხოვს სავაჭრო პოლიტიკის მექანიზმის ფორმირებას, საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული პრინციპების, ნორმების, წესებისა და პრაქტიკის გათვალისწინების საფუძველზე. მრავალი ათეული წლის განმავლობაში მათ წარმატებით იყენებენ სახელმწიფოები იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომელთა წინაშეც, თანამედროვე ეტაპზეც დგას საქართველოს საგარეო ვაჭრობა.

ამ მიმართებით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სავაჭრო ბალანსის რეგულირების ამოცანა მისი მდგრადობის შენარჩუნებისათვის, რადგანაც სავაჭრო ანგარიშსწორების ბალანსის მდგომარეობას პრინციპულად განსაზღვრავს ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორებიცაა საგარეო ვაჭრობის მოცულობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ინფლაციის დონე ქვეყანაში, ე.ი. ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა.

ამრიგად, ჩვენი საკვლევი თემის აქტუალობა, განსაკუთრებით საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პირობებში, განსაზღვრება: საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში სავაჭრო ბალანსის კომპლექსური შესწავლის აუცილებლობით; საგარეო ვაჭრობაში მსოფლიო გამოცდილების ანალიზისა და მისი შედეგების საქართველოს სინამდვილეში ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრით.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო ბალანსის მდგომარეობაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოვლენა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში; ჩატარებული

ანალიზისა და რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე არსებული პრობლემების და გაუმჯობესების პერსპექტივების განსაზღვრა.

დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად ამოცანებზე:

- თანამედროვე პირობებში სავაჭრო ბალანსის ფორმირების ძირითადი თეორიული პრინციპების განხილვა;
- გლობალიზაციის პირობებში ექსპორტ-იმპორტის კანონზომიერებების განსაზღვრა;
- საქართველოს სავაჭრო ბალანსის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება და ანალიზი;
- საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებაში არსებული პრობლემების განსაზღვრა და მათი დაძლევის გზები დადგენა;
- ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების ანალიზი;
- ჩატარებული კვლევისა და რესპოდენტთა გამოკითხვის მონაცემების ანალიზის საფუძველზე საექსპორტო ბალანსის გაუმჯობესებისათვის დასკვნებისა და წინადადებების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საქართველოს სავაჭრო ბალანსის ფორმირების თავისებურებები და განვითარების ტენდენციები. ხოლო ობიექტს საგარეო ვაჭრობაში ჩართული პრიორიტეტული დარგები და კომპანიები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომი კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიშები და სტატისტიკური მასალები, ასევე მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემები.

კვლევის პროცესის სრულყოფილად ჩატარებისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- **სისტემური ანალიზის მეთოდი** - ეს არის შემეცნების მეცნიერული მეთოდი, რომელიც წარმოადგენს საკვლევი სისტემის ცვლად ან მუდმივ ელემენტებს შორის სტრუქტურული კავშირების დადგენისათვის ქმედებების თანმიმდევრობას - აღნიშნული მეთოდი გამოყენებულ იქნა 1.3 ქვეთავში სადაც შედარებულ ექნა საერთაშორისო რეგულირების ხერხები და მეთოდები; ასევე 2.3 ქვეთავში სადაც გაანალიზებულ იქნა სავაჭრო ბალანსის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

- **კვლევის ლოგიკური მეთოდი** - ეს არის რთული ობიექტის (სისტემის) განვითარების სამეცნიერო აღწარმოება თეორიული ანალიზის საფუძველზე - იგი გამოვიყენეთ 1.1 დეა 1.2 ქვეთავებში საერთაშორისო ვაჭრობის და სავაჭრო ბალანსის თეორიების ევოლუციის და განვითარების ისტორიული ასპექტების აღწერისას.

- **კვლევის ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდი** - ეს არის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ხერხებისა და წესების ერთობლიობა. ნაშრომის 1.3; 2.1; 2.2 ქვეთავებში დიდო მოცულობით მოყვანილია სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი ანალიზი.

- **კვლევის რაოდენობრივი (მასობრივი გამოკითხვის) მეთოდი.** ამ მეთოდის დახმარებით ჩვენს მიერ ჩატარებული რესპოდენტთა გამოკითხვა მოყვანილია ნაშრომის 3.2 ქვეთავში. გამოკითხვის შედეგების ანალიზდე დაყრდნობით გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან. ნაშრომში, საქართველოს ეკონომიკისა და სავაჭრო ბალანსის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის, ასევე საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესების საკითხებზე რესპოდენტთა გამოკითხვით მიღებული შედეგების განზოგადების საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და დასახულია წინადადებები სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მიმართულებით.

თავი 1. სავაჭრო ბალანსის არსი და მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკისათვის გლობალიზაციის პირობებში

1.1. საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო ბალანსის თეორიები

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველაზე ტრადიციულ და განვითარებულ ფორმას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა. რიგი ეკონომისტების შეფასებით ვაჭრობის წილად მოდის მთელი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დაახლოებით 80%. თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ხასიათდებიან მსოფლიო ვაჭრობის აქტიური განვითარებით, მათ შეაქვთ ბევრი სიახლე და სპეციფიკა ეროვნული ეკონომიკების განვითარების პროცესში.

ზოგადად ქვეყნისათვის ძნელია გადაჭარბებულად შეაფასო საგარეო ვაჭრობის როლის. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება ეფუძნება საგარეო ვაჭრობას. ჯერჯერობით ვერცერთმა ქვეყანამ ვერ მოახერხა შეექმნა ჯანსაღი ეკონომიკა მსოფლიოს ეკონომიკური სისტემისგან იზოლირებულად (R.Wacziarg K. Horn Welch 2014).

საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს კავშირის ფორმას სხვადასხვა ქვეყნის საქონელმწარმოებლებს შორის, რომელიც წარმოიშვება საერთაშორისო შრომის დანაწილების საფუძველზე და ასახავს მათ ურთიერთდამოკიდებულებას.

სტრუქტურული ძვრები, რომლებიც მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენით, სამრეწველო წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერაცია აძლიერებს ეროვნული მეურნეობების ურთიერთქმედებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის

გააქტიურებას. საერთაშორისო ვაჭრობა, ააქტიურებს დარგთაშორის სასაქონლო ნაკადების მოძრაობას და საწარმოო სიმძლავრეები იზრდება უფრო სწრაფად. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კვლევების თანახმად მსოფლიო წარმოების ყოველ 10% ზრდაზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის 16%-იანი ზრდა. ამით იქმნება უფრო კეთილსაიმედო პირობები მისი განვითარებისთვის. როცა ვაჭრობაში ხდება შეფერხებები, მაშინ ხდება წარმოების განვითარების შენელება (World Trade Organization. 2013).

ნაირფეროვანი საგარეო სავაჭრო საქმიანობა სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით იყოფა: მზა პროდუქციით, მანქანებითა და მოწყობილობებით, ნედლეულით და მომსახურებით ვაჭრობად. საგარეო-სავაჭრო ეროვნული პოლიტიკის არჩევის დილემის წინაშე ადრე თუ გვიან დგება ყველა სახელმწიფო. ასწლეულების განმავლობაში ამ თემაზე მიმდინარეობს ცხარე დისკუსიები.

მსოფლიო ვაჭრობის განვითარება ეყრდნობა მოგებას, რომელიც მოაქვს მას მასში მონაწილე ქვეყნებისათვის. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიები იძლევიან წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს საგარეო ვაჭრობისგან მიღებული მოგების საფუძველს, ანუ რით განისაზღვრება საგარეო სავაჭრო ნაკადების მიმართულებები. საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც ქვეყნები, რომლებიც ავითარებენ თავიანთ სპეციალიზაციას, შეძლებენ მათ ხელთ არსებული რესურსების მწარმოებლურობის გაზრდას და მაშასადამე, მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობების ზრდას, ამით კი გაიზრდება მოსახლეობის კეთილდღეობის დონე.

საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე მუშაობდა მრავალი ცნობილი ეკონომისტი. საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად თეორიებს წარმოადგენენ: მერკანტილიზმის თეორია, ადამ სმითის (Adam Smith) აბსოლუტური უპირატესობის თეორია, დევიდ რიკარდოსა (David Ricardo) და ჯონ სტიუარტ მილის (John Stuart Mill) შეფარდებითი უპირატესობის თეორია, ელი ფილიპ ხეკშერის (Eli Filip Heckscher) და ბერტილ გოტჰარდ ოლინის (Bertil Gotthard Ohlin) თეორია, საქონლის

სასიცოცხლო ციკლის თეორია, მაიკლ პორტერის (Michael Eugene Porter) თეორია და სამუელსონისა (Paul Anthony Samuelson) და ვოლფგანტ ფრიდრიხ სტოლპერის (Wolfgang Frederich Stolper) თეორია. საერთაშორისო ვაჭრობის აღნიშნული თეორიები განვიხილოთ ცალ-ცალკე.

მერკანტილიზმის თეორია. მერკანტილიზმი წარმოადგენს XV—XVII საუკუნეების ეკონომისტების ხედვათა სისტემას, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფოს სამეურნეო საქმიანობაში აქტიურ ჩარევაზე. საერთაშორისო ვაჭრობის მერკანტილიზმის თეორია წარმოიშვა კაპიტალის პირველადი დაგროვებისა და უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდში, იგი ეფუძნებოდა იდეას იმის შესახებ, რომ ოქროს მარაგების არსებობა წარმოადგენს ერის აყვავების საფუძველს. მერკანტილიზმის მომხრეები თვლიდნენ, რომ საგარეო ვაჭრობა უნდა იყო ორიენტირებული ოქროს მიღებაზე, ვინაიდან საქონელგაცვლის შემთხვევაში ჩვეულებრივი საქონელი, რომელიც შემდგომ იქნება მოხმარებული, შეწყვეტს არსებობას, ხოლო ოქრო კი გროვდება ქვეყანაში და შესაძლებელია მისი ისევ საერთაშორისო გაცვლისათვის გამოყენება (T. Pettinger 2017).

ვაჭრობა ამ შემთხვევაში განიხილება, როგოც თამაში ნულოვანი თანხით, როცა ერთი მოთამაშის მოგება, ავტომატურად ნიშნავს, მეორე მოთამაშის წაგებას და პირიქით. ამ თეორიის მიმდევრები, მაქსიმალური მოგების მისაღებად, გვთავაზობდნენ სახელმწიფო ჩარევისა და კონტროლის გაძლიერებას საგარეო ვაჭრობაში. მერკანტილიზმის მომხრეების სავაჭრო პოლიტიკა, რომელსაც შემდგომში ეწოდა პროტექციონიზმი, მდგომარეობდა იმაში, რომ უნდა შექმნილიყო ბარიერები საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელიც დაიცავდა ეროვნულ მწარმოებლებს საერთაშორისო კონკურენციისაგან, მოახდენდა ექსპორტის სტიმულირებასა და იმპორტის შეზღუდვას.

საერთაშორისო ვაჭრობის მერკანტილიზმის თეორიის ძირითადი დებულებები შემდეგია (T. Pettinger 2017):

- სახელმწიფოს აქტიური სავაჭრო ბალანსის ხელშეწყობის აუცილებლობა (ექსპორტი უნდა აღემატებოდეს იმპორტს);
- ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით ოქროსა და სხვა ძვირფასი მეტალების მოზიდვის სარგებლობის აღიარება;
- ფული არის ვაჭრობის სტიმული, რადგან ითვლება, რომ ფულის მასის გაზრდა იწვევს სასაქონლო მასის გარდას.
- პროტექციონიზმის მხარდაჭერა, რომელიც მიმართულია ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების იმპორტსა და მზა პროდუქციის ექსპორტზე;
- ექსპორტზე ფუფუნების საგნების გატანის შეზღუდვა, რადგან იგი იწვევს ქვეყნიდან ოქროს გადინებას.

ადამ სმითის აბსოლუტური უპირატესობის თეორია. თავის ნაშრომში „ერის სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ კვლევაში“ მერკანტილიზმის მომხრეებთან პოლემიკაში ადამ სმითმა მოახდინა იდეის ფორმულირება იმის შესახებ, რომ ქვეყნები დაინტერესებულნი არიან საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფალი განვითარებით, რადგანაც შეიძლება მისგან მიიღონ მოგება იმის მიუხედავად არიან ისინი ექსპორტიორები თუ იმპორტიორები. ყოველი ქვეყანა უნდა ახდენდეს სპეციალიზებას იმ პროდუქციის წარმოებაზე, სადაც იგი ფლობს აბსოლუტურ უპირატესობას საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეთა შორის. უარის თქმა იმ პროდუქციის წარმოებაზე, რომლებშიც ქვეყანა არ ფლობს აბსოლუტურ უპირატესობას და რესურსების კონცენტრაცია სხვა პროდუქციის წარმოებაზე იწვევს წარმოების საერთო მოცულობების ზრდას, ქვეყნებს შორის თავიანთი შრომის პროდუქტებით გაცლის მოცულობის გადიდებას (R. Schumacher 2012).

ადამ სმითის აბსოლუტური უპირატესობის თეორია გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის რეალური სიმდიდრე შედგება საქონლისა და მომსახურებისგან, რომელიც ხელმისაწვდომია მისი მოქალაქეებისათვის. თუ, რომელიმე ქვეყანას ესა თუ ის პროდუქცია შეუძლია აწარმოოს იაფად და დიდი რაოდენობით, ვიდრე სხვა ქვეყნებს, მაშინ იგი ფლობს აბსოლუტურ უპირატესობას. თეორიის მომხრეების

აზრით ქვეყნის რესურსები გადაედინება რენტაბელურ დარგებში, ვინაიდან ქვეყანას არ შეუძლია კონკურენცია არარენტაბელურ სფეროებში. ამას მივყავართ ქვეყნის შრომის მწარმოებლურობის, ასევე სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან, რადგანაც ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოების ხანგრძლივი პერიოდი უზრუნველყოფს მუშაობის უფრო ეფექტიანი მეთოდების შემუშავების სტიმულირებას (R. Schumacher 2012).

დ. რიკარდოსა და ჯ. ს. მილის შეფარდებითი უპირატესობის თეორია. დევიდ რიკარდო წერდა, რომ აბსოლუტური უპირატესობის პრინციპი საერთო წესის მხოლოდ ერთი კერძო შემთხვევაა და შემოიტანა შეფარდებითი (ფარდობითი) უპირატესობის თეორია. საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებების ანალიზიდან მან განსაზღვრა, რომ გათვალისწინებულ უნდა იყოს ორი გარემოება: პირველ რიგში ის, რომ ეკონომიკური რესურსები (ბუნებრივი, შრომითი და ა.შ.) არათანაბრად არის განაწილებული ქვეყნებს შორის, ხოლო მეორეც, სხვადასხვა საქონლის ეფექტიანი წარმოება მოითხოვს სხვადასხვა ტექნოლოგიას ან რესურსების კომბინაციას.

დ. რიკარდო თვლიდა, რომ უპირატესობები, რომლებსაც ფლობენ ქვეყნები არ არის მუდმივი, ამიტომ იმ ქვეყნებმაც კი, რომლებსაც აქვთ წარმოების უფრო მაღალი დანახარჯები, შეუძლიათ ნახონ სარგებელი საქონლის გაცვლით. ყოველი ქვეყნის ინტერესებში შედის, რომ მოახდინოს სპეციალიზება იმ წარმოებაზე, რომელშიც იგი ფლობს ყველაზე დიდ უპირატესობას და მინიმალურ სისუსტეს და რომლისთვისაც არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი სარგებელი არის მნიშვნელოვანი - ამაში მდგომარეობს შეფარდებითი უპირატესობის თეორია. მისი აზრით უდიდესი მოგება მიიღება მაშინ, როდესაც ყოველი პროდუქტი წარმოებული იქნება იმ მხარის მიერ, სადაც ნაკლებია ალტერნატიული დანახარჯები. ამრიგად, სპეციალიზაციისა და ვაჭრობის შედეგად იგებს გაცვლაში მონაწილე ორივე მხარე. აღნიშნული შემთხვევის მაგალითს წარმოადგენს ინგლისური ქსოვილისა და პორტუგალიური ღვინის გაცვლის შემთხვევა,

რომელსაც მოაქვს მოგება ორივე მხარისათვის, იმის მიუხედავად, რომ როგორც ქსოვილზე, ასევე ღვინოზე აბსოლუტური დანახარჯები პორტუგალიაში უფრო დაბალია, ვიდრე ინგლისში (M. N. Rothbard. 2012).

ჯ. მილი თავის ნაშრომში წერდა, რომ გაცვლის ფასი დგინდება მოთხოვნისა და მიწოდების კანონით ისეთ დონეზე, რომ ყოველი ქვეყნის ექსპორტის ერთობლიობა საშუალებას იძლევა დაიფაროს მისი იმპორტის ერთობლიობა -ამაში მდგომარეობს საერთაშორისო ღირებულების კანონი (C. Gehrke 2011).

ხეკშერის და ოლინის თეორია. შვედი მეცნიერების ეს თეორია, გამოჩნდა წინა საუკუნის 30-იან წლებში. იგი მიეკუთვნება საერთაშორისო ვაჭრობის ნეოკლასიკურ კონცეფციებს, ვინაიდან ეს მეცნიერები არ ემხრობოდნენ შრომის ღირებულების თეორიას. ამ თორიის ძირითადი დებულებები დაიყვანება შემდეგზე: პირველ რიგში, ქვეყნებში შეინიშნება იმ საქონლის ექსპორტირება, რომელთა დასამზადებლადაც ქვეყანაში ჭარბად არის წარმოების ფაქტორები და პირიქით, ისინი ახდენენ იმ საქონლის იმპორტირებას, რომელთა დასამზადებლად არა საკმარისია შესაბამისი ფაქტორების მოცულობები. მეორეს მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში შეინიშნება „ფაქტორული ფასების“ გამოთანაბრების ტენდენცია, და მესამე, საქონლის ექსპორტი შესაძლოა შეიცვალოს წარმოების ფაქტორების გადაადგილებით საზღვარგარეთ. ხეკშერის და ოლინის ნეოკლასიკური კონცეფცია ხელსაყრელი გახდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარების მიზეზების ასახსნელად, როცა ნედლეულის სანაცვლოდ, რომელიც გადიოდა განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო ამის სანაცვლოდ შექონდათ მანქანები და დანადგარები (S. M. Heckscher 2019).

საქონლის სასიცოცხლო ციკლის თეორია. ამ თეორიის თანახმად პროდუქტი ბაზარზე გამოჩენიდან მის დატოვებამდე გადის სასიცოცხლო ციკლს, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან (UK Essays,. 2018):

- პროდუქტის შემუშავება. კომპანია პოულობს და ცხოვრებაში ახორციელებს ახალი პროდუქციის იდეას. ამ შემთხვევაში გაყიდვების მოცულობა ნულის ტოლია, ხოლო დანახარჯები განუხრელად იზრდება.
- საქონლის ბაზარზე გაყვანა. მოგება ნულის ტოლია მარკეტინგულ ღონისძიებებზე გაწეული დიდი დანახარჯების გამო, ნელა იზრდება გაყიდვების მოცულობები.
- ბაზრის სწრაფი დაპყრობა, იზრდება მოგება.
- მომწიფება. გაყიდვების მოცულობების ზრდა თანდათან ნელდება, ვინაიდან მომხმარებელთა ძირითადი მასა უკვე მოზიდულ იქნა. მოგების დონე რჩება უცვლელი, ან მცირდება საქონლის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად მარკეტინგული ღონისძიებების გატარების გამო.
- ვარდნა. გაყიდვების მოცულობის მკვეთრი ვარდნა და მოგების შემცირება.

მაიკლ პორტერის თეორია. აღნიშნულმა თეორიამ შემოიტანა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მცნება. სწორედ ეროვნული კონკურენტუნარიანობა, ავტორის აზრით, განსაზღვრავს წარმოების კონკრეტულ დარგებში წარმატებას ან წარუმატებლობას და იმ ადგილს, რომელიც უჭირავს ქვეყანას მსოფლიო მეურნეობრივ სისტემაში. ეროვნული კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება წარმოების უნარით. ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის განმარტებას საფუძვლად უდევს ქვეყნის როლი წარმოების განახლების საქმეში (ე.ი. ინოვაციების წარმოების სტიმულირება). მსოფლიო ბაზარზე წარმატების სერიოზულ სტიმულს წარმოადგენს საკმარისი კონკურენცია შიდა ბაზარზე. სახელმწიფოს მხარდაჭერის საშუალებით წარმოების ხელოვნური დომინირება, პორტერის აზრით, არის ნეგატიური გადაწყვეტილება, რომელსაც მივყავართ რესურსების არაეფექტიან ხარჯვასთან. აღნიშნული თეორია დაედო საფუძვლად, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და აშშ-ში, საქონლის შიდა სავაჭრო კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად რეკომენდაციების შემუშავებას სახელმწიფო დონეზე (O. Jurevicius. 2013).

საერთაშორისო ვაჭრობაში, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების განვითარებაში, აქტიურად გამოიყენება თავისუფალი ეკონომიკური ზონა, როგორც რეგიონალური პოლიტიკის ინსტრუმენტი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით დღეს მსოფლიოში ფუნქციონირებს რამდენიმე ათასი თავისუფალი ეკონომიკური ზონა, სადაც პრეფერენციების და შეღავათების ნაკრების საშუალებით ცდილობენ მოიზიდონ სულ უფრო მეტი ინვესტიციები (UNIDO. Annual Report 2016). თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის ქვეყნის გეოგრაფიულ სივრცე, სადაც მოქმედებს შეღავათებისა და სტიმულირების განსაკუთრებული რეჟიმი და გამიზნულია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისათვის.

საქართველოში პირველი თავისუფალი ეკონომიკური ზინა დაარსებულ იქნა 1881 წელს ქალაქ ბათუმში პორტ-ფრანკოს სახელწოდებით, ამ ზონაში ტვირთების გადამზიდველები სარგებლობდნენ საბაჟო შეღავათებით. საქართველოს შემოსავლების სამსახურის მონაცემებით ამჟამად ქვეყანაში არსებობს ოთხი თავისუფალი ეკონომიკური ზონა ესენია (საქართველოს შემოსავლების სამსახური. 2019):

- ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.
- ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.
- ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.
- თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

ამრიგად, საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო ბალანსის თეორიები თავისი არსით არიან შეუზღუდავები იმეორებენ ერთმანეთს მეთოდოლოგიური პრინციპების, ანალიზის ინსტრუმენტების სფეროში, ასევე გამოსაკვლევი კატეგორიებისა და მოვლენებთან მიმართებაში. ამ თეორიებს დაწყებულს კლასიკურიდან და დამთავრებულს თანამედროვე მონეტარიზმით აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი - თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკის გარე და შიდა

ფაქტორების განვითარებას შორის „ოპტიმალური თანაფარდობის“ მოძიების მცდელობა.

1.2. საერთაშორისო ვაჭრობის სახეები, სტრუქტურა და განვითარების მიმართულებები

თანამედროვე ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია მისი საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის გარეშე. იმის მიუხედავად, რომ ქვეყნების მსოფლიო მეურნეობრივ კავშირებზე დამოკიდებულების ხარისხი სხვადასხვაა, თანამედროვე პირობებში ის სახელმწიფოებიც კი, რომლებიც ფლობენ საკმარის ეკონომიკურ და ბუნებრივ-კლიმატურ პოტენციალს, რომელიც საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ ავტოკრატია, აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო ვაჭრობაში. დამტკიცებულია, რომ საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გაცვლის ინტენსიფიკაციის დროს სახელმწიფოს უნარი შესწევს გაზარდოს მშპ უფრო დიდი მოცულობით, ვიდრე ეს იქნებოდა შესაძლებელი ეროვნული აღწარმოების ბაზაზე. საგარეო ეკონომიკური საქმიანობა არა მხოლოდ ამდიდრებს შიდა სამომხმარებლო ბაზარს, არამედ ასწავლის ეროვნული ბიზნესის წარმომადგენლებს საბაზრო მეურნეობრიობის მოწინავე მეთოდებს, ქმნის პირობებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. სახელმწიფოთა თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების უდიდესმა მნიშვნელობამ გაზარდა საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის როლი, რომლის საშუალებითაც ხდება ეროვნული ეკონომიკების მსოფლიო მეურნეობასთან ურთიერთკავშირის, ასევე ქვეყნების ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი.

საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნების საქონელმწარმოებლებს შორის კავშირის ფორმას, რომელის წარმოიშვება შრომის

საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე, და გამოხატავს მათ ურთიერთ ეკონომიკურ დამოკიდებულებას.

საერთაშორისო ვაჭრობა მოიცავს საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს, რომელთა შორის თანაფარდობასაც ეწოდება სავაჭრო ბალანსი. გაეროს სტატისტიკურ ცნობარებში მოყვანილია საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობისა და დინამიკის შესახებ მონაცემები, როგორც ყველა ქვეყნის ექსპორტის ღირებულების ჯამი. არჩევენ საერთაშორისო ვაჭრობის შემდეგ სახეებს:

- საბითუმო ვაჭრობა;
- ვაჭრობა სასაქონლო ბირჟებზე;
- ვაჭრობა საფონდო ბირჟებზე;
- საერთაშორისო ბაზრობები;
- ვაჭრობა სავალუტო ბირჟებზე.

ქვეყნებში, განვითარებული საბაზრო ეკონომიკით, საბითუმო ვაჭრობის ძირითად ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს დამოუკიდებელი კომპანიები, რომლებიც დაკავებულნი არიან ვაჭრობით. მაგრამ, საბითუმო ვაჭრობის სფეროში სამრეწველო კომპანიების შემოსვლის შემდეგ მათ შექმნეს საკუთარი სავაჭრო ქსელი. ასეთებია აშშ-ში საწარმოო კორპორაციების საბითუმო ფირმები, როგორიცაა: საბითუმო ოფისები, რომლებიც დაკავებულნი არიან სხვადასხვა კლიენტების ინფორმაციული მომსახურებით და საბითუმო ბაზები.

გერმანიაში მსხვილ კომპანიებს აქვთ საკუთარი მიწოდების განყოფილებები, სპეციალური ბიუროები ან რეალიზაციის განყოფილებები, ასევე საბითუმო საწყობები. ტრანსნაციონალური კორპორაციები ქმნიან შვილობილ კომპანიებს სხვა ფირმებისათვის თავისი პროდუქციის მისაწოდებლად და ასევე შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი საბითუმო ვაჭრობის ქსელიც.

განსაკუთრებული ადგილი საბითუმო ვაჭრობაში უკავიათ სასაქონლო ბირჟებს. ისინი გვანან სავაჭრო სახლებს, სადაც ვაჭრობენ ყველანაირი საქონლითა

და მომსახურებით. ძირითადად სასაქონლო ბირჟებს გააჩნიათ თავისი სპეციალიზაცია, მაგალითად: ნახშირი, ნავთობი, ხე-ტყე, ხორბალი და ა.შ.

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ხორციელდება საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ე.ი. ისეთი მსხვილი ფინანსური ცენტრების ბირჟებზე, როგორებიცაა: ნიუ-იორკის, ლონდონის, პარიზის, ფრანკფურტის, ტოკიოს და ციურიხის საფონდო ბირჟები. საფონდო ბირჟაზე გამყიდველისა და მყიდველის როლში გამოდიან მხოლოდ ბროკერები, რომლებიც ასრულებენ თავიანთი კლიენტების შეკვეთებს, რაზეც იღებენ განსაზღვრულ პროცენტს ბრუნვიდან. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისათვის არსებობს ეგრეთ წოდებული საბროკერო კომპანიები, ან სამაკლერო კანტორები. მსოფლიო ვაჭრობის წლიური ბრუნვა შეადგენს დაახლოებით 20 მილიარდ დოლარს, ხოლო სავალუტო ბირჟების ყოველდღიური ბრუნვა კი შეადგენს 500 მილიარდ დოლარს. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ყველა სავალუტო გარიგების 90%-ი პირდაპირ არ არის დაკავშირებული სავაჭრო ოპერაციებთან, არამედ ეს ოპერაციები ხორციელდება საერთაშორისო ბანკების მიერ (World Trade Organization. 2018).

მსოფლიო მეურნეობის ევოლუციის პოსტკრიზისულ ეტაპზე გამოჩენილი გლობალური საქონელგაცვლის ძირითადი ტრენდები მეტწილად განპირობებულნი იყვნენ სხვადასხვა სფეროებში ნეგატიური ტენდენციებით. თანამედროვე მსოფლიოში განვითარების დინამიკაში, საერთაშორისო ვაჭრობის სასაქონლო და გეოგრაფიულ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებზე გავლენა მოახდინეს მრავალრიცხოვანმა და მრავალმხრივმა ფაქტორებმა. ეს ფაქტორებია:

- შრომის საერთაშორისო დანაწილების და მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებამ გამოიწვია ეროვნული ეკონომიკების ღიაობის მაჩვენებლის ზრდა;
- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესმა და ინოვაციურმა განვითარებამ გამოიწვიეს მოქნილი სამუშაო სტრუქტურების შექმნა და ეროვნულ ეკონომიკებში სტრუქტურული ცვლილებები;

- წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ, ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე, გამოიწვია მსოფლიო ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის გააქტიურება;
- კაპიტალის ექსპორტის, კერძოდ პირდაპირი ინვესტიციების მასშტაბებისა და ტემპების გაზრდამ გამოიწვია საექსპორტო პოტენციალისა და საერთაშორისო ვაჭრობის ბრუნვის ზრდა მსოფლიოში;
- მთლიანობაში, საერთაშორისო ეკონომიკური და სავაჭრო ორგანიზაციები, მათ შორის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ამყარებს საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესს;
- თავისუფალი ვაჭრობისა და საბაჟო კავშირების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ინტენსიფიკაციისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება, რომლებიც აუქმებენ რეგიონალურ ბარიერებს;
- ზოგადად, საგარეო-სავაჭრო ბრუნვისათვის ე.ი. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებისათვის შექმნილია ხელსაყრელი პირობები.

ჩამოთვლილი ფაქტორებმა განსაზღვრეს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ტენდენციები. თანამედროვე მსოფლიოში, საერთაშორისო ვაჭრობაში მიმდინარეობს გეოგრაფიული, დარგობრივი და სტრუქტურული ცვლილებები, რაც დაკავშირებულია ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური დამოკიდებულების გაზრდასთან. თუ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საერთაშორისო ვაჭრობის 2/3 მოდიოდა სასურსათო პროდუქციაზე, ნედლეულსა და საწვავზე საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში მითი წილი ¼-მდე შემცირდა. გადამამუშავებელი მრეწველობის წილი გაიზარდა 1/3-დან ¾-მდე. 21-ე საუკუნის დასაწყისში მთელი საერთაშორისო ვაჭრობის 1/3 მოდიოდა მანქანებითა და დანადგარებით ვაჭრობაზე (World Trade Organization. 2018).

საერთაშორისო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა იცვლება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის კვალობაზე. 2017 წელს სასაქონლო ვაჭრობა გაიზარდა 4.7%-ით, რაც მოლო 6-ი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

სამრეწველო საქონლის მიხედვით მსოფლიო ექსპორტის მაჩვენებელი მოყვანილია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 1.1.).



წყარო: დიაგრამა შედგენილია WTO-ს მონაცემებზე დაყრდნობით (World Trade Organization. 2018).

დიაგრამა 1.2. სამრეწველო საქონლის მსოფლიო ექსპორტი 2017 წელს (%-ში).



წყარო: დიაგრამა შედგენილია WTO-ს მონაცემებზე დაყრდნობით (World Trade Organization. 2018).

დიაგრამა 2.2. მსოფლიო ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 2017 წელს. (%-ში).

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2017 წელს ყველაზე მეტი ექსპორტზე გავიდა ქიმიური მრეწველობის პროდუქცია. შემდეგ მოდის საოფისე და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები, მესამე ადგილზეა ავტომობილებით ვაჭრობა, მეოთხეზე ტანსაცმელი და ტექსტილი, სულ 3%-ი უკაცია რკინისა და ფოლადის ექსპორტს და სხვა დანარჩენი შეადგენს 47%-ს. ხოლო საქონლის ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ნაჩვენებია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.2.).

როგორც დიაგრამიდან ჩანს სასაქონლო ჯგუფების მიხედვით პირველ ადგილზეა მრეწველობის მზა პროდუქცია (70%), შემდეგ 15%-ით მოდის საწვავი და სამთო მომპოვებელი მრეწველობა, 10%-ი მთლიან ექსპორტში უკავია სოფლის მეურნეობას, ხოლო სხვა დანარჩენ სასაქონლო ჯგუფებს ექსპორტის მთლიანი მოცულობის 5%-ი.



დიაგრამა 2.3. ქვეყნების ტოპ 10-ული იმპორტის მოცულობის მიხედვით (მილიარდ დოლარებში (О. Паладьев 2018)

საქონლის იმპორტი წარმოადგენს განვითარებული ეკონომიკის სასიცოცხლო ძალას, ის აძლევს საშუალებას მომხმარებელს ისარგებლოს პროდუქციის ფართე სპექტრით. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ახდენს მსოფლიოს მასშტაბით

ფიზიკური საქონლის ღირებულების გაკონტროლებას ყოველ ცალკეულ ქვეყანაში, მისი მონაცემებით იმპორტის მოცულობის მიხედვით ქვეყნების ტოპ 10-ული მოყვანილია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.3.) (О. Паладьев 2018).

როგორც დიგრამიდან ჩანს ქვეყნების ტოპ 10-ულში იმპორტის მოცულობის მიხედვით ლიდერობს აშშ, მისმა იმპორტმა 2017 წელს შეადგინა 2,409 მილიარდი დოლარი, მას მოყვება ჩინეთი 1,842 მილიარდი დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა გერმანია 1,167 მილიარდი დოლარით.

საკმაოდ საინტერესო სურათი მიიღება ექსპორტის მოცულობის მიხედვით წამყვანი ქვეყნების ტოპ 10-ულის განხილვისას და მისი შედარებით ამ ქვეყნების იმპორტის მოცულობასთან. ქვეყნების ტოპ 10-ული ექსპორტის მოცულობის მიხედვით მოყვანილია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.4.).

როგორც დიაგრამიდან ჩანს ექსპორტის მოცულობის მიხედვით მსოფლიოში ლიდერობს ჩინეთი 2,263 მილიარდი დოლარით, მეორე ადგილზე არის აშშ 1,547 მილიარდი დოლარით, ხოლო მესამე საპატიო ადგილი აქაც უკავია გერმანიას 1,448 მილიარდი დოლარით.



დიაგრამა 2.4. ქვეყნების ტოპ 10-ული ექსპორტის მოცულობის მიხედვით (მილიარდ დოლარებში) (О. Паладьев 2018)

ნათელია, რომ დიაგრამა შეიცავს ინფორმაციას საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ და რამდენადმე არათანაბარია. სიის სათავეში მოქცეული ქვეყნები, რომლებიც დომინირებენ საერთაშორისო ვაჭრობაში, მნიშვნელოვნად უსწრებენ ყველა დანარჩენს. უმსხვილესი ექსპორტიორი ჩინეთი, უსწრებს მომდევნო ადგილზე მყოფ აშშ-ს 32%-ით. ლიდერი ქვეყნების სამეულს უფრო მერი ექსპორტის მოცულობა აქვს ვიდრე საუკეთესო ათეულის დანარჩენ ყველა წევრს ერთად.

მეორე საინტერესო დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ სიურპრიზს წარმოადგენს ნიდერლანდების მე 5-ე ადგილი მისი ექსპორტი შეადგენს 652 მილიარდ დოლარს. ისმება კითხვა თუ რა პროდუქცია გააქვთ ნიდერლანდებს ექსპორტზე იმდენი, რომ სიაში უკავიათ ასეთი საპატიო ადგილი, აღმოჩნდა, რომ მათი ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა მძიმე ტექნიკა და ნავთობი, რაც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო ბაზარზე.

თუ შევადარებთ ბოლო ორ დიაგრამას მათ გააჩნიათ ბევრი საერთო. პირველ რიგში ამ ორი სიის შედარებით დავინახავთ, რომ მათში ერთი და იგივე ათი ქვეყანა ფიგურირებს. სტატისტიკა კი ოდნავ განსხვავდება მაგალითად ჩინეთი არის მსოფლიოში ყველაზე დიდი ექსპორტიორი, ხოლო აშშ კი ყველაზე მსხვილი იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა. ამრიგად ქვეყნები საკმაოდ დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე.

1.3. საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება და სახელმწიფოს, როგორც მარეგულირებლის, როლი და მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობის განვითარებაში

საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება იყოფა სახელმწიფო რეგულირებაზე და რეგულირებაზე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნით.

საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების მეთოდები შეგვიძლია დავყოთ ორ ჯგუფად: სატარიფოდ და არასატარიფოდ (გ. ჯოლია2015).

1. სატარიფო მეთოდები დაიყვანება საბაჟო გადასახადების გამოყენებაზე. საბაჟო ტარიფები ეს არის სახელმწიფოს მიერ საზღვარზე საქონლის ან სხვა ფასეულობის გადატანის გაფორმების საფასური. ასეთი გადასახადი გაითვალისწინება პროდუქციის ფასში და მას იხდის მომხმარებელი. საბაჟო გადასახადი გამოიყენება საქონლის იმპორტის დასაბეგრად, რათა გართულდეს ქვეყანაში უცხოური საქონლის შემოტანა, იშვიათად გამოიყენება საბაჟო გადასახადი ექსპორტზე. იმპორტზე გადასახდელის გამოყენების მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს, როგორც იმპორტის უშუალო შეზღუდვა, ასევე კონკურენციის, მათ შორის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შეზღუდვა. მის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს დემპინგი - საქონლის გაყიდვა საგარეო ბაზარზე იმაზე დაბალ ფასად, რაც იდენტური საქონელი ღირს შიდა ბაზარზე.

2. საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების არატარიფული მეთოდები წარმოადგენენ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის პირდაპირი და ირიბი შეზღუდვების ერთობლიობას, ეკონომიკური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებების განტოტვილი სისტემის დახმარებით. მათ მიეკუთვნებიან:

- კვოტირება - რაოდენობრივი პარამეტრების დადგენა, რომლის ფარგლებში შესაძლებელია საგარეო-სავაჭრო ოპერაციების განხორციელება. პრაქტიკაში კვოტირება ჩვეულებრივ ხორციელდება საქონლის ჩამონათვალის სიის ფორმით, რომელთა თავისუფალი შემოტანა და გატანა შეზღუდულია მოცულობის პროცენტით ან ეროვნული წარმოების ღირებულებით.
- ლიცენზირება - საგარეო-სავაჭრო ოპერაციების განხორციელებაზე სამეურნეო სუბიექტებისათვის სპეციალური ნებართვების (ლიცენზიების) გაცემა. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება კვოტირებასთან ერთად, კვოტების გასაკონტროლებლად ლიცენზიების დახმარებით. ზოგიერთ შემთხვევაში

ლიცენზირების სისტემა გვევლინება საბაჟო დაბეგვრის ნაირსახეობად, რომელსაც იყენებს ქვეყანა დამატებითი საბაჟო შემოსავლის მისაღებად.

- ემბარგო - აკრძალვა ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციების განხორციელებაზე. იგი შესაძლოა ვრცელდებოდეს განსაზღვრული საქონლის ჯგუფზე ან შემოტანილ იქნეს ცალკეული ქვეყნების მიმართ.
- სავალუტო კონტროლი - შეზღუდვა საკრედიტო-ფულად სფეროში. მაგალითად, საფინანსო კვოტამ შესაძლოა შეზღუდოს ვალუტის რაოდენობა, რომელიც შესაძლოა მიიღოს ექსპორტიორმა. რაოდენობრივი შეზღუდვები შესაძლოა გავრცელდეს უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე, ასევე მოქალაქეთა მიერ საზღვარგარეთ უცხოური ვალუტის გატანის რაოდენობაზე და ა.შ.
- გადასახადები ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებაზე - გადასახადები არასატარიფო ღონისძიებების სახით, რომლებიც არ რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ამიტომ მას ახდევინებენ, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ საქონელზე. შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდიების გამოყოფა ექსპორტიორებისათვის.
- ადმინისტრაციული ღონისძიებები - ისინი წარმოადგენენ შეზღუდვებს, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ ბაზრებზე რეალიზებული პროდუქციის ხარისხთან. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის სტანდარტებს. მათი დაუცველობა შესაძლოა გახდეს პროდუქციის იმპორტზე შემოტანის და მისი ეროვნულ ბაზარზე რეალიზაციის აკრძალვის საფუძველი. ანალოგიურად, ეროვნული სატრანსპორტო ტარიფების სისტემა, ტვირთების გადაზიდვის ანაზღაურების მხრივ, ხშირად ანიჭებს ექსპორტიორებს უპირატესობას იმპორტიორებთან შედარებით. ამას გარდა შესაძლებელია ირიბი შეზღუდვების სხვა ფორმების გამოყენებაც, მაგალითად: უცხოელებისათვის ცალკეული პორტებისა და სარკინიგზო სადგურების დახურვა, განაწესი პროდუქციის წარმოებაში

ეროვნული ნედლეულის გამოყენების წილის შესახებ, აკრძალვა სახელმწიფო ორგანოებისათვის იმპორტირებული საქონლის შეძენაზე, თუ იგივე საქონელს უშვებს სამამულო მწარმოებელი და ა.შ.

მსოფლიო მეურნეობის განვითარებისათვის საერთაშორისო ვაჭრობის დიდმა მნიშვნელობამ განაპირობა მსოფლიო საზოგადოების მიერ სპეციალური საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანიზაციების შექმნა, რომელთა ძალისხმევა მიმართულია საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების წესების, პრინციპებისა და პროცედურების შემუშავებაზე და მათი შესრულების კონტროლზე, ამ ორგანიზაციების წევრი სახელმწიფოების მხრიდან. საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც მოქმედებენ შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში:

- GATT-ი (გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ);
- WTO (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია);
- GATS (გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ);
- TRIPS (შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ).

GATT-ი. მისი ფუძემდებლური დებულებების შესაბამისად ქვეყნებს შორის ვაჭრობა უნდა ხორციელდებოდეს ერის კეთილდღეობის პრინციპის საფუძველზე, ე.ი. GATT-ის წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობაში დგინდება რეჟიმი, რომლის დროსაც გარანტირებულია თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა. მაგრამ, ამავდროულად დადგენილია გამონაკლისები ქვეყნებისათვის, რომლებიც შედიან ეკონომიკურ ინტეგრაციულ დაჯგუფებებში; ყოფილი კოლონიებისათვის, რომლებიც იმყოფებიან ყოფილ მეტროპოლიებთან ტრადიციულ კავშირებში; ასევე სასაზღვრო და სანაპირო რეგიონებში ვაჭრობისათვის. ყველაზე მიახლოებითი გათვლებით გამონაკლისების წილად მოდის მზა პროდუქციით ვაჭრობის არანაკლებ 60%-ისა (GATT. 2008).

GATT-ი საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების ერთადერთ მისაღებ საშუალებად ცნობს საბაჟო ტარიფებს, რომლებიც იმპერატიულად მცირდებიან. თანამედროვე ეტაპზე მათი საშუალო დონე შეადგენს 3-5%-ს. მაგრამ აქაც არის გამონაკლისები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ეროვნული ბაზრის არატარიფული დაცვის საშუალებები (კვოტები, ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზირება, საგადასახადო შეღავათები და ა.შ.). მათ მიეკუთვნება სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების რეგულირების პროგრამების გამოყენების შემთხვევები, საგადამხდელო ბალანსის დარღვევა, რეგიონალური განვითარებისა და დახმარების პროგრამების გამოყენება (M. A Crowley 2005).

GATT-ი წარმოადგენს WTO-ს წინამორბედს, იგი იღებდა თავის გადაწყვეტილებებს მოლაპარაკებების რაუნდებზე, რომელზეც მონაწილეობა ამ შეთანხმების ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენელი. სულ ასეთი რაუნდი შედგა რვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლითაც ხელმძღვანელობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მიღებულია ბოლო ურუგვაის რაუნდზე (1986-1994 წლები). ამ რაუნდმა უფრო გააფართოვა იმ საკითხების წრე, რომლებსაც თანამედროვე ეტაპზე არეგულირებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. მათ ჩამონათვალში შეყვანილ იქნა მომსახურებით ვაჭრობა, ასევე სასაზღვრო ბაჟის სიდიდის შემცირების პროგრამები, ცალკეული დარგების პროდუქციის საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებაზე ძალისხმევის აქტივიზაცია და ეროვნული ეკონომიკების იმ მიმართულებებზე კონტროლის გაძლიერება, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნების საგარეო ვაჭრობაზე (WTO. 1996).

WTO. ურუგვაის რაუნდმა მისი მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები მიიყვანა გადაწყვეტილებამდე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ. მაგრამ რაუნდის გადაწყვეტილებებმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას დაუსახეს ამოცანები, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციის საფუძველზე უზრუნველყოფილიყო საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება, ეგრეთ

წოდებული კავშირების გამოყენებით. მათი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოს მიერ ტარიფების გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიიღება, უნდა ყოფილიყო სხვა საქონლის იმპორტზე ტარიფების ლიბერალიზაციასთან კავშირში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არ შედის გაეროს საქმიანობის სფეროში. ეს კი საშუალებას აძლევს, მას გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა და განახორციელოს კონტროლი ქვეყანა-მონაწილეების საქმიანობაზე მიღებული შეთანხმებების შესრულების მხრივ (M. I. Latif 2009).

GATS (გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ). განსაზღვრული სპეციფიკით განსხვავდება მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება. ეს ყოველივე დაკავშირებულია იმასთან, რომ მომსახურება განსხვავდება ფორმებისა და შინაარსის მრავალფეროვნებით, არ ახდენს ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებას, რომელსაც ექნებოდათ საერთო ნიშნები. მაგრამ მას ახასიათებს საერთო ტენდენციები, რომლებიც იძლევიან გლობალურ დონეზე რეგულირების შესაძლებლობას, მისი განვითარების ახალი მეთოდების გათვალისწინებით. გლობალურ დონეზე რეგულირება ხორციელდება GATS-ის ფარგლებში, რომელიც მოქმედებს 1995 წლის 1 იანვრიდან. მის რეგულირებაში გამოიყენება იგივე წესები, რომლებიც იქნენ შემუშავებულნი გენერალური შეთანხმებით ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ, პროდუქციასთან მიმართებაში (P.J. Macrory, A.E. Appleton, M.G. Plummer. 2010).

გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება შეიცავს სამ ნაწილს, ესენია: ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მომსახურებით ვაჭრობის რეგულირების საერთო პრინციპებსა და წესებს; სპეციალური ხელშეკრულება, რომელიც მისაღებია ცალკეული სერვისების განმახორციელებელი დარგებისათვის და ეროვნული მთავრობების სიას სერვისულ დარგებში შეზღუდვების გაუქმების შესახებ.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების საკითხებს, როგორც საერთაშორისო ისე

ეროვნულ დონეზე, ენიჭება უაღრესად დიდი მნიშვნელობა. ეროვნული მთავრობები საგარეო ვაჭრობის რეგულირების სატარიფო და არასატარიფო მეთოდებით ახდენენ ეროვნული სამომხმარებლო ბაზრის დაცვასა და ექსპორტის წახალისებას. ხოლო საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციებში გაწევრიანება და ამ ორგანიზაციების პრინციპებისა და წესების გაზიარება ქვეყნებს უხსნის გზას საერთაშორისო ბაზრებზე. ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ ეროვნულ დონეზე არსებული რეგულირებების და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციების რეგულირების წესების შეთანაწყობას, შესძლებენ ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას და გახდებიან კონკურენტუნარიანნი საერთაშორისო დონეზე, რითაც დაიმკვიდრებენ ადგილს მსოფლიო მეურნეობრივ სისტემაში.

თავი 2. საქართველოს სავაჭრო ბალანსის თანამედროვე მდგომარეობა და მისი შეფასება გლობალიზაციის პირობებში

2.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობისა და სავაჭრო ბალანსის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

საგარეო ვაჭრობა თამაშობს მნიშვნელოვან როლს ყოველი ქვეყნის განვითარებაში, ვინაიდან იგი ახდენს გავლენას ეკონომიკურ ზრდასა და ინოვაციურ პროცესებზე. ამას გარდა, სახელმწიფოს, რომელსაც გააჩნია შეზღუდული რესურსები და მცირე მოცულობის შიდა ბაზარი, შეუძლია თავისი მოსახლეობის მოთხოვნილების კომპენსირება იმპორტირებული საქონლის ხარჯზე.

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე საგარეო ვაჭრობის გავლენის გადაჭარბებულად შეფასება შეუძლებელია. საგარეო-სავაჭრო ოპერაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ეკონომიკურ ზრდაზე ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების ხარჯზე. ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება ხორციელდება უშუალოდ საექსპორტო დარგებში წარმოების მოცულობების გაზრდით. წარმოებული პროდუქციის საკმარისი კონკურენტუნარიანობის შემთხვევაში მწარმოებლებს შეუძლიათ მათი რეალიზაცია არა მხოლოდ შიდა, არამედ საერთაშორისო ბაზრებზეც. საექსპორტო ოპერაციების შედეგად საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული უცხოური ვალუტა შესაძლოა გახდეს წარმოების გაფართოების წყარო და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის ზრდის საშუალება. როცა კი ხდება ჩავარდნა ვაჭრობაში, ნელდება წარმოების განვითარებაც. ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიონ სავაჭრო ბალანსის გაუარესება, ცვლილებები შემოსავლებსა და ფასებში ქვეყნის შიგნით (Н.А. Волгина 2018).

საქართველოს საგარეო ვაჭრობისა და სავაჭრო ბალანსის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზისათვის. განვიხილოთ საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა დინამიკაში, განვსაზღვროთ საგარეო ვაჭრობის სალდო, ძირითადი სავაჭრო პარტნიორები და გავაანალიზოთ სავაჭრო ბალანსი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოს ვავაჭრო ბრუნვა ცვალებად ხასიათს ატარებდა. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2010-2018 წლებში მოცემულია დიაგრამაზე (იხ დიაგრამა 2.1.).



	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
იმპორტი	5257.1	7057.8	7842.1	7874.4	8601.8	7300.3	7293.8	7942.7	9123.1
ექსპორტი	1677.5	2189.1	2377.4	2909.3	2861	2204.7	2112.9	2735.5	3354.5
სავაჭ. ბალან. სალდო	-3579.6	-4868.7	-5464.7	-4965.1	-5740.8	-5095.6	-5180.9	-5207.2	-5768.6
სავაჭრო ბრუნვა	6694.5	9246.9	10219.5	10783.7	11462.9	9505	9406.7	10678.1	12477.6

წყარო: დიაგრამა შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით (საქსტატი. 2019)

დიაგრამა 2.1 საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 2010-2018 წლებში (მილ. აშშ დოლარებში).

როგორც დიაგრამიდან ჩანს საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 2018 წელს მიაღწია თავის მაქსიმუმს 12477.6 მილიონ დოლარს, ბრუნვის გაზრდა მოხდა, როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის გაზრდის ხარჯზე. ორივემ როგორც იმპორტმა, ასევე ექსპორტმა აჩვენა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში

თავისი მაქსიმუმი. როგორც ვხედავთ სავაჭრო ბალანსის დეფიციტურია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ექსპორტზე საქართველოში ნაკლები ყურადღება ეთმობა იმპორტის ჩანაცვლებას ადგილობრივი წარმოების პროდუქციით მართალია ექსპორტის საშუალო წლიური ზრდა 2010-2018 წელში შეადგენდა 9.4%-ს, ხოლო იმპორტისა 8.0%-ს, ეს ჯერ კიდე ვარ იძლევა დამშვიდების საშუალებას, ვინაიდან სავაჭრო ბალანსი მუდმივად დეფიციტურია და მანაც 2018 წელს მიაღწია თავის ისტორიულ მინიმუმს (იხ. დანართი 1).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქათველოს მსხვილი სავაჭრო პარტნიორების სიას ლიდერობს თურქეთი, ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვამ 2018 წელს შეადგინა 1703 მილიონი აშშ დოლარი, შემდეგ მას მოყვება რუსეთი 1376 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა აზერბაიჯანი 1089 მლნ. აშშ დოლარით მას ოდნავ ჩამორჩება ჩინეთი 1032 მლნ. აშშ დოლარით (იხ. დანართი 2). საქართველოს 10 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანასთან ექსპორტ-იმპორტის, ასევე ბრუნვისა და სავაჭრო ბალანსის მონაცემები მოყვანილია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.2.).

როგორც დიაგრამიდან ჩანს საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო ქვეყანასთან ექსპორტი იმპორტი გაცილებით სჭარბობს ექსპორტს, გამონაკლისია მხოლოდ ბულგარეთი სადაც ექსპორტმა 2018 წელს შეადგინა 259 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა 181 მლნ. აშშ დილარი, ბულგარეთია ერთადერთი ქვეყანაა მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს შორის, რომელთანაც საქართველოს აქვს პროფიციტური სავაჭრო ბალანსი. დანარჩენ მსხვილ სავაჭრო პარტნიორებთან საქართველოს სვაჭრო ბალანსი დეფიციტურია. მაგალითად, თურქეთში საქართველოდან ექსპორტი მართალია წინა წელთან შედარებით 7%-ით გაიზარდა მაგრამ შეადგინა სულ 233 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა თურქეთიდან კი 1470 მლნ. აშშ დოლარი, ამრიგად პროფიციტი შეადგენს 1237 მლნ. აშშ დოლარს.



წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით (საქსტატი. 2019)

დიაგრამა 2.2. საქართველოს 10-ი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2018 წელს ბრუნვის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

ეხლა განვიხილოთ საქართველოს ექსპორტი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით ვხედავთ, რომ საქართველოს ექსპორტში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უკავია სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, მას მთელი ექსპორტის მოცულობის 15%-ი უკავია, შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები იგი ექსპორტის 12%-ს შეადგენს, მესამე ადგილი უკავია ფეროშენადნობებს, მთლიანი ექსპორტის 11%-ი, მეოთხეზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები, მათი ექსპორტი შეადგენს მთელი მოცულობის 6%-ს (იხ. დიაგრამა 2.3).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით (საქართველოს ეროვნული ბანკი. 2018).

დიაგრამა 2.3. საქართველოს ექსპორტი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედით 2018 წელს (%-ში)

როგორც დიაგრამიდან ჩანს ყველაზე დიდი ხვედრითი წილი საქართველოს ექსპორტში უკავია მადნებსა და კონცენტრატებს, მცირე ხვედრითი წილით ექსპორტში გამოირჩევა სოფლის მეურნეობის პროდუქცია სადაც საქართველოს აქვს მეტი საექსპორტო პოტენციალი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ძირითად საიმპორტო პროდუქციის სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წილი უკავია ნავთობისა და ნავთობ პროდუქტების იმპორტს, იგი შეადგენს მთლიანი იმპორტის 10%-ს, (863.9 მლნ. აშშ დოლარი), შემდეგ მოდის ავტომობილები, მისი წილი მთლიან ექსპორტში იყო 7%-ი. ზოგადად საქართველოში იმპორტირებული იყო 1353.2 მლნ. აშშ დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტმა შეადგინა 7769.1მლნ. აშშ დოლარი (საქსტატი 2019). საქართველოს

ეროვნული ბანკის მონაცემებით საქართველოს იმპორტი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედით 2018 წელს გამოსახულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.4).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით (საქსტატი 2019)

დიაგრამა 2.4. საქართველოს იმპორტი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედით 2018 წელს (%-ში)

ამრიგად, შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე მივიღეთ, რომ 2018 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ექსპორტი გაცილებით სჭარბობდა იმპორტს, აქედან გამომდინარე საქართველოს სავაჭრო ბალანსი უარყოფითია. ანალოგიურ სურათს იძლევა ექსპორტ-იმპორტის ანალიზი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების მიხედვითაც ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთან მიმართებაში იმპორტი მნიშვნელოვნად აჭარბებს ექსპორტს გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ბულგარეთი აქაც სხვაობა ძალიან მცირეა. აქედან გამომდინარე, საქართველოს თავის თითქმის ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთან აქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი.

2.2. საქართველოს სავაჭრო ბალანსის განვითარების დინამიკა გლობალიზაციის პირობებში

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა ეთმობოდეს საგარეო ვაჭრობას, ვინაიდან საგარეო ვაჭრობაზეა დამოკიდებული ქვეყნის შემდგომი წინსვლა. საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს სავაჭრო ბალანსი. იგი ასახავს ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ფარდობას განსაზღვრული დროითი პერიოდის განმავლობაში (როგორც წესი წლის განმავლობაში). მასში შედის საქონლის ღირებულება, რომელიც გაყიდულია და შესყიდულია დაუყონებლივ გადახდის წესით, მიწოდებულია კრედიტის საფუძველზე, ასევე მიცემულია უსასყიდლოდ სახელმწიფო დახმარების ან საჩუქრის სახით.

სავაჭრო ბალანსის აქტიურ ნაწილში ასახულია საქონლის ექსპორტი, რომელიც მოყვანილია ან მოპოვებულია ქვეყანაში, ასევე საქონელი, რომელიც ადრე იქნა უცხოეთიდან შემოტანილი და დაექვემდებარა გადამუშავებას. მისი პასიური ნაწილი შედგება - უცხოური წარმოშობის საქონლის იმპორტისაგან შიდა მოხმარებისათვის ან გადამუშავებისათვის მისი შემდგომი გატანისათვის ექსპორტზე. სხვაობა ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებებს შორის შეადგენს სავაჭრო ბალანსის სალდოს: აქტიურია სავაჭრო ბალანსი თუ ექსპორტის ღირებულება აჭარბებს იმპორტის ღირებულებას, ხოლო პასიურია თუ იმპორტის ღირებულება აჭარბებს ექსპორტის ღირებულებას.

სავაჭრო ბალანსის შედგენას ახორციელებენ ყველა ქვეყნის სტატისტიკის, ფინანსური და საგარეო სავაჭრო ორგანიზაციები საგარეო ეკონომიკური პოზიციების, ეროვნული წარმოების საქონლის კონკურენტუნარიანობის დონის და ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის შეფასების მიზნით. ექსპორტისა და იმპორტის გაანგარიშების მეთოდიკას სხვადასხვა ქვეყანაში აქვს

თავისი სპეციფიკა, რაც აძნელებს სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლების შედარებას. ამიტომ, გაეროს სტატისტიკური კომისია რეკომენდაციას იძლევა ქვეყნებისათვის, რომ მათმა გამოიყენონ ერთნაირი მეთოდოლოგია საგარეო ვაჭრობის ღირებულებითი მაჩვენებლების აღრიცხვის სისტემისა და ინფორმაციული ბაზის მიმართ.

როგორც დიაგრამა 2.1-დან და დანართ 1-დან ჩანს საქართველოს სავაჭრო ბალანსი დინამიკაში ყოველთვის იყო უარყოფითი. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ სრულად გამოიყენოს თავისი საექსპორტო პოტენციალი და ყოველწლიურად გაზარდოს ექსპორტი. ეხლა ვნახოთ, თუ როგორ შეიცვალა წინა წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტი უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებაში. როგორც დიაგრამიდან ჩანს 2018 წელს 2017 წელთან შედარებით აზერბაიჯანში განხორციელებული ექსპორტი გაიზარდა 231 მლნ. აშშ დოლარით, რუსეთში 40 მლნ. აშშ დოლარით, სომხეთში ექსპორტი 75 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო თურქეთში კი 16 მლნ. აშშ დოლარით. საქართველოს უმსხვილეს პარტნიორები ქვეყნების მიხედვით 2017-2018 წლებში მოყვანილია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2. 5).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით (საქართველოს ეროვნული ბანკი 2018)

დიაგრამა 2.5 ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2017-2018 წლებში (მლნ. დოლარი).

როგორც დიაგრამიდან ჩანს 2018 წელს საქართველომ გაზარდა ექსპორტის მოცულობა 2017 წელთან შედარებით თითქმის ყველა უმსხვილეს პარტნიორთან მიმართებაში. ამის მიუხედავად, მთლიანი სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა სალდომ თავის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. ამის მიზეზი ძირითადად არის იმპორტის განუხრელი ზრდა. საქართველოს ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყანა არის თურქეთი, მან 2018 წელს 2017 წელთან შედარებით 96 მლნ. აშშ დოლარით მეტი იმპორტი განახორციელა, რუსეთმა 139 მლნ. აშშ დოლარით მეტი, ხოლო ჩინეთმა კი 34 მლნ დოლარით მეტი და ა.შ. იმპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2017-2018 წლებში მოცემულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.6.).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით(საქართველოს ეროვნული ბანკი 2018)

დიაგრამა 2.5 იმპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2017-2018 წლებში (მლნ. დოლარი).

როგორც დიაგრამიდან ჩანს საქართველოს იმპორტი ყველა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან იზრდება. ანალოგიური სიტუაციაა თუ განვიხილავთ საქართველოს ექსპორტსა და იმპორტს რეგიონების მიხედვით.

ამრიგად, საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ანალიზმა დინამიკაში დაგვანახა, რომ 2018 წელს 2017 წელთან შედარებით თითქმის ყველა მსხვილ სავაჭრო პარტნიორთან მიმართებაში გაიზარდა, როგორც ექსპორტი ასევე იმპორტი, მართალია ექსპორტის საშუალო წლიური ზრდა ბოლო რვა წლის განმავლობაში შეადგენს 9.4%-ს, ხოლო იმპორტის ზრდა შესაბამის პერიოდში მხოლოდ 8%-ია, მიუხედავად ამისა სავაჭრო ბალანსი მკვეთრად უარყოფითია. საქართველოს მთავრობამ უნდა გააქტიუროს მუშაობა ამ მიმართებით, უნდა მოხდეს ექსპორტის წახალისება და საერთაშორისო დონეზე ქართული ბიზნესის ხელშეწყობა.

2.3. საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებაში არსებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები

მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელია სხვა ქვეყნებთან ურთიერთქმედების თავისი სისტემა რეგიონალურ და გლობალურ დონეზე. ამ მიმართებით სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებაში არსებულ პრობლემებს და ქვეყნის სავაჭრო დისბალანსს გააჩნია განსაკუთრებული აქტუალობა და მნიშვნელობა. სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოს ჩამოყალიბებული ნეგატიური ტენდენციების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზები მდგომარეობს შემდეგში:

- საქართველოს მაღალი მოცულობის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი წარმოადგენს ქვეყანაში არსებული უმწვავესი პრობლემის ლარის გაუფასურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს.
- თანამედროვე ეტაპზე ქვეყანას განვითარებადი ქვენების შესაბამისი ექსპორტი აქვს, ძირითადად ექსპორტზე გადის ბუნებრივი რესურსები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ე.ი. ის რის მოპოვებაც არის შესაძლებელი ქვეყანაში და რის მოყვანის საშუალებასაც იძლევა ადგილობრივი კლიმატური პირობები.
- საქართველოდან ძალიან მცირე რაოდენობით გადის მზა პროდუქცია, რომელიც კონკურენტუნარიანია საერთაშორისო ბაზარზე. ამის მიზეზი ბევრია ქვეყანაში არ შემოდის საკმარისი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რის გამოც შეუძლებელი ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანა და დანერგვა, ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებს არ ყოფნით ცოდნა და გამოცდილება, ერთი სიტყვით ქვეყანაში კვალიფიციური კადრების დეფიციტია.
- ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პროდუქცია არის სპილენძის მადნები და კონცენტრატები (ექსპორტის მთელი მოცულობის 15%), ხოლო მეორე ადგილზე კი ავტომანქანებია (ექსპორტის12%). ეს ორივე ფაქტობრივად

წარმოადგენს რეექსპორტს, ასევე რეექსპორტია სამკურნალო საშუალებები (ექსპორტის 4%). ფაქტობრივად საქართველოს ექსპორტის სრული მოცულობის 31% რეექსპორტს წარმოადგენს.

- ნელა ვითარდება ეროვნული საექსპორტო ინფრასტრუქტურა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ლოგისტიკის ინდექსის რეიტინგში მართალია საქართველო 130 ადგილიდან 2016 წელს, გადმოინაცვლა 119 ადგილზე, 160 ქვეყანას შორის, მაგრამ როგორც ვხედავთ საქმე არც ისე სახარბიელოდ არის (The World Bank. 2018).
- დაბალ დონეზეა საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია. სავაჭრო ბრუნვის უდიდესი ნაწილი მოდის ძირითადად ათ ქვეყანაზე, რაც განაპირობებს რისკების მაღალ დონეს იმ შემთხვევაში, როდესაც ტრადიციულ ქვეყანა-პარტნიორებში შემცირდება ექსპორტის მოცულობები, მათი სხვა ქვეყნის პროდუქციის ჩანაცვლების გზით.

საკვანძო პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ გადაწყვეტას, რათა დაბალანსდეს საგარეო ვაჭრობა და შემცირდეს სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო შემდეგია:

- ეკონომიკის სტრუქტურული დაუბალანსებელობა.
- ეროვნული ინოვაციური სისტემის არასაკმარისი ეფექტიანობა.
- ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბალი ეფექტიანობა და მოცულობის სიმცირე.

აღნიშნული პრობლემების დასაძლევად მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების აქტიური მოზიდვა.
- ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნები, მისი ორიენტაცია საექსპორტო პოტენციალის გაზრდაზე.
- სასაქონლო ექსპორტის აქტიური სტიმულირება, პერსპექტიულ პროდუქციაზე კრედიტების გაცემის გზით.

- მომსახურების ექსპორტის გაზრდა, განსაკუთრებით ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში.

ამრიგად, საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტა, ეროვნული ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის შესაბამისი ღონისძიებების რეალიზაციის გზით, ხელს შეუწყობს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დაბალანსებას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას, ეს კი თავის მხრივ, გახდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი

თავი 3. საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში

3.1. ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები

საგარეო ვაჭრობა ითვლება საქართველოს განვითარების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად. იზრდება საგარეო სავაჭრო საქმიანობის მნიშვნელობა, როგორც მთლიანად ეკონომიკისათვის, ასევე ცალკეული რეგიონებისა და დარგებისათვის. საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობის ზრდა მიღწეულ უნდა იქნეს, პირველ რიგში ქართველი მეწარმეების მიერ საექსპორტო პროდუქციის მოცულობების ზრდით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებულია მთავრობის ხედვა საგარეო ვაჭრობის განვითარების სფეროში. რის მიხედვითაც ქვეყანა თანმიმდევრულად ახორციელებს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას და სავაჭრო პარტნიორებთან ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას. პრიორიტეტულ მიმართულებებად მიჩნეულია (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2019):

- სავაჭრო პარტნიორებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარება რეგიონალურ დონეზე და ისეთი რეჟიმების სრულყოფა როგორებიცაა: პრევენციული და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები.
- ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელშეწყობისათვის ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორებიცაა: ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირება; ქართველი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- საქართველოს სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობის რეგულარული მონიტორინგისა და საგარეო ვაჭრობის შედეგების მუდმივი ანალიზის

განხორციელება, რათა გაუმჯობესდეს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და მოხდეს ქართული პროდუქციის ექსპორტის წახალისება.

- თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელების კოორდინაცია უწყებებს შორის.

საქართველოს ხელისუფლების მიერ, ბოლო წლებში, განხორციელებულია ფართომასშტაბიანი რეფორმა სატარიფოო პოლიტიკისა და ტექნიკური რეგულირების სფეროში, რის შედეგადაც ამჟამად საქართველოს აქვს მსოფლიოს ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, ეს კი გულისხმობს მარტივ სავაჭრო პროცედურებსა და რეჟიმს, რაც განპირობებულია არსებული დაბალი საიმპორტო ტარიფებით და ასევე არასატარიფო რეგულირებების მინიმუმამდე დაყვანით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, რომელიც მიღებულ იქნა 2010 წლის 17 სექტემბერს, საბაჟო ტარიფები იმპორტზე 16-დან შემცირდა სამამდე (0,5 და 12%). ამჟამად, იმპორტირებული საქონლის დაახლოებით 85%-ზე სრულად გაუქმებულია საიმპორტო ტარიფები, საერთოდ აღარ არის სეზონური ტარიფები. იმპორტირებულ საქონელზე ტარიფები დადგენილია საგადასახადო კოდექსის 27 თავის შესაბამისად (საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2010).

ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბაჟო გადასახადს ექსპორტსა და რეექსპორტზე. ამ სახის გადასახადი საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად სრულად არის გაუქმებული. რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან სტიმულს ქართველი მეწარმეებისათვის, აწარმოონ ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქცია.

საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კონონში, არ არის გათვალისწინებული საგარეო ვაჭრობაში რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (კვოტები, ლიცენზიები და ა.შ.), გარდა იმ გამონაკლისი

შემთხვევებისა, რომლის დროსაც საფრთხის ქვეშ შესაძლოა დადგეს ადამიანთა ჯამრთელობა, ქვეყნის უსაფრთხოება და გარემო.

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობისთვის, რაც გამოხატულია ლიბერალური საბაჟო და საგადასახადო კოდექსების მიღებაში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქვეყნის ძირითად პრიორიტეტს საგარეო ურთიერთობების განვითარებაში წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ ქვეყნის განვითარების წინაპირობა გახდება.

3.2. კვლევა: საქათველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საკითხები

ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნისათვის უსაზღვრო მნიშვნელობა ენიჭება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის როლი, კერძოდ სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, როგორც მთლიანობაში, ასევე სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში საგარეო ვაჭრობის როლის და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების საკითხებზე ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა. იგი წარმოადგენდა რესპოდენტთა გამოკითხვას საგარეო ვაჭრობის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. გამოკითხვისათვის რესპოდენტები შერჩეულ იქნენ სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდით, ხოლო გამოკითხვისა და მიღებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდით (მასობრივი გამოკითხვის მეთოდით). რესპოდენტებმა შეავსეს წინასწარ მომზადებული კითხვარი (იხ. დანართი 5). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 97-მა რესპოდენტმა. მათგან 41 იყო ქალბატონი, ხოლო 56 კი მამაკაცი. გამოკითხვაში სხვადასხვა ასაკის რესპოდენტები მონაწილეობდნენ, რომელთაგან ყველაზე მეტი

71%-ი 25-40 წლამდე ადამიანები იყვნენ, ხოლო დანარჩენები კი სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები.

კითხვაზე იმ შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში ექსპორტის განვითარებასა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას, რესპოდენტთა 42%-მა განაცხადა, რომ ექსპორტის განვითარებას ხელს უშლის ქართული პროდუქციის დაბალი ხარისხი, 39%-ის აზრით მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია ბიზნესისათვის ხელმისაწვდომობის დაბალი დონე, ხოლო რესპოდენტთა თანაბარმა რაოდენობამ 9-9%-მა გამოთქვეს აზრი, რომ საქართველოს ექსპორტის განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორებია მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის დაბალი ცნობადობა (იხ. დიაგრამა 3.1.).



დიაგრამა 3.1. რომელია ის შემაფერხებელი ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ექსპორტის განვითარებას და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას?

შემდეგი კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან, რომელი უნდა იქნეს გატარებული, რათა გაუმჯობესდეს საქართველოს სავაჭრო ბალანსი. საქართველოს სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებლად ჩამოთვლილ

ღონისძიებებს შორის, რესპოდენტთა 40.2%-ის აზრით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მეწარმეების სტიმულირება, მათთვის შეღავათიანი სესხების გაცემა, 28.9%-ი მნიშვნელოვნად მიიჩნევს საგადასახადო შეღავათებს ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეებისათვის, 24.7% ლოგისტიკის გაუმჯობესებას, ხოლო 6.2%-კი ბიზნესისათვის მსოფლიო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას (იხ. დიაგრამა 3.2).



დიაგრამა 3.2. თქვენი აზრით ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან რომელი უნდა გატარდეს, რათა გაუმჯობესდეს საქართველოს სავაჭრო ბალანსი?

რესპოდენტებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საკითხი სახელმწიფო როლის შესახებ ექსპორტის სტიმულირებაში. რესპოდენტთა აზრები დაახლოებით თანაბრად გაიყო 25.9%-მა განაცხადა, რომ ექსპორტის სტიმულირებისათვის, ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ სავაჭრო მისიების გახსნა, ვინაიდან ისინი დაეხმარებიან ქართველი ბიზნესის წარმომადგენლებს საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის რეკლამირებაში და ცნობადობის

ამაღლებაში, რესპოდენტთა დანარჩენის აზრით ერთნაირად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ადგილობრივი საექსპორტო პროდუქციის კატალოგების განათავსოს ინტერნეტში, საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობაში დაეხმაროს ბიზნესის წარმომადგენლებს და გაუკეთოს საზღვარგარეთ ორგანიზება გამოფენებს (იხ. დიაგრამა 3.3).



დიაგრამა 3.3.თქვენი აზრით ექსპორტის სტიმულირების ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან, რომელიც უნდა განახორციელოს სახელმწიფომ, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?

კითხვაზე იმპორტის შესამცირებლად, რომელი ღონისძიების გატარებაა მნიშვნელოვანი რესპოდენტთა უდიდესმა ნაწილმა 76.3% განაცხადა, რომ იმპორტის შესამცირებლად აუცილებელია მოახდინოს იმ დარგების სტიმულირება, რომლებიც აწარმოებენ იმპორტ შემცვლელ პროდუქციას, მხოლოდ 19.6%-ის აზრით ამ მიზნით უნდა მოხდეს ადგილობრივი ბაზრის დასაცავად, საბაჟო გადასახადების გაზრდა (იხ. დიაგრამა 3.4).



დიაგრამა 3.4. თქვენი აზრით იმპორტის შესამცირებლად, რომელი ღონისძიებების გატარებაა მნიშვნელოვანი?

კითხვაზე თუ ქართულმა ბიზნესმა, როგორ უნდა გაუწიოს კონკურენცია სხვა ქვეყნებს, როგორც საერთაშორისო ისე, ეროვნულ ბაზრებზე? რესპოდენტთა 47.4%-მა განაცხადა, რომ აუცილებელია, რომ საქართველოში ქართველმა მეწარმეებმა აწარმოონ მაღალი ხარისხის პროდუქცია, 35.1%-ის აზრით მნიშვნელოვანია ის, რომ ექსპორტირებული საქონელი გამოირჩეოდეს განსაკუთრებული ნიშან-თვისებებით, ხოლო 14.4% ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია გააუმჯობესონ პროდუქციის შეფუთვა (იხ. დიაგრამა 3.5).

კითხვაზე თუ რომელია ის მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა მოუტანს საქართველოსა და ქართულ ბიზნეს? რესპოდენტთა 40.2%-მა გამოთქვა აზრი, რომ საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება დაეხმარა ქართველ მეწარმეებს ისარგებლონ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმით ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან ვაჭრობისას. 38.1%-

ი ფიქრობს, რომ გაიზრდება საერთაშორისო ბაზრების ხელმისაწვდომობა, ვინაიდან ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვის მოქმედებს სხვადასხვა საშეღავათო პირობები ექსპორტზე. რესპოდენტთა 12.4%-ის აზრით ამ ორგანიზაციაში შესვლა დაეხმარა ქართულ მეწარმეებს თავიანთი პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანაში (იხ. დიაგრამა 3.6).



დიაგრამა 3.5. როგორ ფიქრობთ ქართულმა ბიზნესმა, როგორ უნდა გაუწიოს კონკურენცია სხვა ქვეყნებს, როგორც საერთაშორისო ისე, ეროვნულ ბაზრებზე?

გამოკითხვის ანკეტის ბოლო კითხვაზე რომელ სფეროში ხედავთ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების პერსპექტივებს? რესპოდენტთა 52.6%- მა დაასახელა სოფლის მეურნეობა, 28.9%-მა ბუნებრივი რესურსები, 14.4%-მა გადამამუშავებელი მრეწველობა, ხოლო 4.1%-მა კი მეცნიერებატევადი დარგების განვითარება (იხ. დიაგრამა 3.7).



დიაგრამა 3.6. რომელია ის მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა მოუტანს საქართველოსა და ქართულ ბიზნეს?



დიაგრამა 3.7. რომელ სფეროში ხედავთ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების პერსპექტივებს?

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული რესპოდენტთა გამოკითხვით მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ექსპორტის განვითარებასა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორებია ქართული პროდუქციის დაბალი ხარისხი (42.2%) და ბიზნესისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე (39.2%), და იმისათვის, რომ ქართველმა მეწარმეებმა გაუწიონ სათანადო კონკურენცია უცხოურ კომპანიებს, საჭიროა სახელმწიფომ დაეხმაროს მათ ინვესტიციების მოზიდვაში, ასევე შემუშავდეს პროგრამები ქართველი მეწარმეებისთვის იაფფასიანი კრედიტების მისაცემად, რის შედეგადაც ქვეყანაში შემოვა ახალი ტექნოლოგიები და გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. ხოლო სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს შორის რესპოდენტთა აზრით აუცილებელია განხორციელდეს მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება მათთვის შეღავათიანი სესხების გაცემის გზით (40.2%) და საგადასახადო შეღავათების დაწესება ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეებისათვის (28.9%), ასევე რესპოდენტთა აზრით მნიშვნელოვანია ლოგისტიკის გაუმჯობესებაც (24.7%).

საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებაში, ენიჭება სახელმწიფოს როლს. ამ მიმართებით რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგებმა დაგვანახეს, რომ ექსპორტის სტიმულირებისათვის სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ღონისძიებებს შორის თანაბრად მნიშვნელოვანია: საზღვარგარეთ სავაჭრო მისიების გახსნა (25.9%), ადგილობრივი საექსპორტო პროდუქციის კატალოგების განათავსოს ინტერნეტში (24.7%), საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობისთვის ბიზნესის წარმომადგენლების დახმარება (24.7%) და საზღვარგარეთ გამოფენების ორგანიზება (24.7%), ვინაიდან ისინი დაეხმარებიან ქართველი ბიზნესის წარმომადგენლებს საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის რეკლამირებაში და ცნობადობის ამაღლებაში.

საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმპორტის შემცირებას. გამოკითხულ რესპოდენტთა უდიდესი უმრავლესობის აზრით (76.3%) აუცილებელია განხორციელდეს იმ დარგების სტიმულირება, რომლებიც აწარმოებენ იმპორტ შემცვლელ პროდუქციას, ასევე ამ მიმართებით მნიშვნელოვანია საბაჟო გადასახადების რეგულირების გზით იმპორტის განსაზღვრულ დონემდე შემცირება, რაც დაიცავს ქართულ ბაზარს უცხოური კომპანიების ექსპანსიისაგან. ამავე მიმართებით მნიშვნელოვანია საქართველოს გაერთიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რითაც ქართულ პროდუქციას გაეხსნა გზა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ბაზრებზე (40.2%), და გაიზარდა საერთაშორისო ბაზრებზე ხელმისაწვდომობა (38.1%).

გამოკითხულ რესპოდენტთა აზრით საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების პერსპექტივები მდგომარეობს, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში.

3.3. საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში

საქართველო უკვე მესამე ათწლეულია მიყვება დამოუკიდებელი განვითარების გზას და მთელი ამ ხნის განმავლობაში სავაჭრო ბალანსის სალდო უარყოფითია. მართალია წლიდან წლამდე იზრდება ქართული პროდუქციის ექსპორტი, მაგრამ ამასთან ძალიან მაღალია ქვეყანაში იმპორტზე შემოსული საქონლის მოცულობები. ქვეყნის სავაჭრო ბალანსის უარყოფით ან დადებით სალდოსადმი მიმართება დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის მდგომარეობას მსოფლიო მეურნეობის სისტემაში, პარტნიორებთან საქმიანი კავშირების თავისებურებებს, სავაჭრო ბალანსის ძირითადი სტატიების ხასიათს, კუთრ წონას და ა.შ.

ეკონომიკური თეორიის თანახმად სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება შესაძლოა გამოიწვიოს ეროვნული ვალუტის დევალვაციამ. მაგრამ დიდი რაოდენობის

თეორიული და ემპირიული კვლევების მიუხედავად საკითხი იმის შესახე, რომ შესაძლებელია თუ არა დევალვაცია ან რევალვაცია გამოყენებულ იქნეს, როგორც სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინსტრუმენტი, რჩება ისევ ღიად. ამიტომ ვალუტის გაცვლით კურსსა და სავაჭრო ბალანს შორის ურთიერთდამოკიდებულების კვლევა წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან ასპექტს. ასეთი სახის კვლევა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მოკლევადიანი დამოკიდებულებების ხასიათი, ე.ი. თუ როგორ რეაგირებს სავაჭრო ბალანსი დევალვაციაზე, როგორც დაწყების მომენტში, ისე გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, და ხომ არ შეინიშნება ნეგატიური ეფექტი. მიღებული ინფორმაცია, მართვის სახელმწიფო ორგანოების მიერ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გადაწყვეტილების მიღებისას იმის შესახებ, თუ რა მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული სავაჭრო ბალანსის კორექტირებისათვის და უარყოფითი სალდოს შემცირებისათვის (И. Точицкая 2006).

როგორც კვლევამ და სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა საქართველოს ექსპორტში პირველ ორ პოზიციას იკავებს საქონელი, რომელიც ძირითადად რეექსპორტს წარმოადგენს, ხოლო ძირითადი საექსპორტო საქონელი, რომელიც იწარმოება საქართველოში არის სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია. საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების პერსპექტივები სწორედ მდგომარეობს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში. ამ მიმართებით სახელმწიფოს როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რათა დაეხმაროს ფერმერებსა და სოფლად დასაქმებულ მოსახლეობას გაერთიანდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში და საერთაშორისო ბაზარისათვის აწარმოონ კონკურენტუნარიანი პროდუქცია. რითაც მნიშვნელოვანწილად განვითარდება გადამამუშავებელი მრეწველობა, გაიზრდება მოსახლეობის დასაქმების დონე, შემცირდება სოციალური დაძაბულობა და ქვეყანა გადავა განვითარების ახლ საფეხურზე.

საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო დონეზე დადებულ ხელშეკრულებებს ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ. რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) ხელშეკრულება. ასევე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას წარმოადგენს ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელსაც 2017 წლის მაისში მოეწერა ხელი. რითაც საქართველოს გაეხსნა მილიარდ ნახევრიანი ჩინეთის ბაზარი და საქართველო მეთერთმეტე ქვეყანა გახდა ვისთანაც ჩინეთს ექნება თავისუფალი ვაჭრობა. ასევე 2015 წლის თებერვალში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის (ლ. თევდორაძე2017).

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკები ურთიერთდამოკიდებულნი არიან, როდესაც მსოფლიოს რომელიმე რეგიონში მომხდარი მკვეთრი ეკონომიკური ცვლილება გავლენას ახდენს სხვა რეგიონების განვითარებაზე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, რომლის ძირითადი მიმართულებაა საგარეო ვაჭრობა. ამიტომაც საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის ახალ დონეზე აყვანა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, რაც დამოკიდებულია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლებასთან და იმპორტ შემცვლელი პროდუქციის წარმოების გაზრდასთან. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს საექსპორტო საქონლის მწარმოებელთა სტიმულირება, გასაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროებში, დაეხმაროს ქართველ მეწარმეებს თავიანთი პროდუქციის რეკლამირებაში საზღვარგარეთ, რაც გახდება სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების საწინდარი.

დასკვნა

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ვაჭრობის სფეროში დაგროვილი გამოცდილების, მისი განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და თავისებურებების შესწავლის, ასევე საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაანალიზების და სავაჭრო ბალანსის მნიშვნელოვან საკითხებზე რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები და დავსახეთ პრაქტიკული წინადადებები:

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველაზე ტრადიციულ და განვითარებულ ფორმას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა. რიგი ეკონომისტების შეფასებით ვაჭრობის წილად მოდის მთელი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დაახლოებით 80%. თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ხასიათდებიან მსოფლიო ვაჭრობის აქტიური განვითარებით, მათ შეაქვთ ბევრი სიახლე და სპეციფიკა ეროვნული ეკონომიკების განვითარების პროცესში.

2. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების საკითხებს, როგორც საერთაშორისო ისე ეროვნულ დონეზე, ენიჭება უაღრესად დიდი მნიშვნელობა. ეროვნული მთავრობები საგარეო ვაჭრობის რეგულირების სატარიფო და არასატარიფო მეთოდებით ახდენენ ეროვნული სამომხმარებლო ბაზრის დაცვასა და ექსპორტის წახალისებას. ხოლო საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციებში გაწევრიანება და ამ ორგანიზაციების პრინციპებისა და წესების გაზიარება ქვეყნებს უხსნის გზას საერთაშორისო ბაზრებზე. ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ ეროვნულ დონეზე არსებული რეგულირებების და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციების რეგულირების წესების შეთანაწყობას, შესძლებენ ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას და გახდებიან კონკურენტუნარიანნი საერთაშორისო დონეზე, რითაც დაიმკვიდრებენ ადგილს მსოფლიო მეურნეობრივ სისტემაში.

3. შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე მივიღეთ, რომ 2018 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ექსპორტი გაცილებით სჭარბობდა იმპორტს, აქედან გამომდინარე საქართველოს სავაჭრო ბალანსი უარყოფითია. ანალოგიურ სურათს იძლევა ექსპორტ-იმპორტის ანალიზი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების მიხედვითაც ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთან მიმართებაში იმპორტი მნიშვნელოვნად აჭარბებს ექსპორტს გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ბულგარეთი აქაც სხვაობა ძალიან მცირეა. აქედან გამომდინარე, საქართველოს თავის თითქმის ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთან აქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი.

4. საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ანალიზმა დინამიკაში დაგვანახა, რომ 2018 წელს 2017 წელთან შედარებით თითქმის ყველა მსხვილ სავაჭრო პარტნიორთან მიმართებაში გაიზარდა, როგორც ექსპორტი ასევე იმპორტი, მართალია ექსპორტის საშუალო წლიური ზრდა ბოლო რვა წლის განმავლობაში შეადგენს 9.4%-ს, ხოლო იმპორტის ზრდა შესაბამის პერიოდში მხოლოდ 8%-ია, მიუხედავად ამისა სავაჭრო ბალანსი მკვეთრად უარყოფითია. საქართველოს მთავრობამ უნდა გააქტიუროს მუშაობა ამ მიმართებით, უნდა მოხდეს ექსპორტის წახალისება და საერთაშორისო დონეზე ქართული ბიზნესის ხელშეწყობა.

5. საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტა, ეროვნული ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის შესაბამისი ღონისძიებების რეალიზაციის გზით, ხელს შეუწყობს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დაბალანსებას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას, ეს კი თავის მხრივ, გახდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი.

6. საქართველოს ხელისუფლების მიერ, ბოლო წლებში, განხორციელებულია ფართომასშტაბიანი რეფორმა სატარიფოო პოლიტიკისა და ტექნიკური რეგულირების სფეროში, რის შედეგადაც ამჟამად საქართველოს აქვს მსოფლიოს

ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, ეს კი გულისხმობს მარტივ სავაჭრო პროცედურებსა და რეჟიმს, რაც განპირობებულია არსებული დაბალი საიმპორტო ტარიფებით და ასევე არასატარიფო რეგულირებების მინიმუმამდე დაყვანით.

7. ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბაჟო გადასახადს ექსპორტსა და რეექსპორტზე. ამ სახის გადასახადი საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად სრულად არის გაუქმებული. რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან სტიმულს ქართველი მეწარმეებისათვის, აწარმოონ ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქცია.

8. საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში საგარეო ვაჭრობის როლის და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების საკითხებზე ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა. იგი წარმოადგენდა რესპოდენტთა გამოკითხვას საგარეო ვაჭრობის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. გამოკითხვისათვის რესპოდენტები შერჩეულ იქნენ სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდით, ხოლო გამოკითხვისა და მიღებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდით (მასობრივი გამოკითხვის მეთოდით). რესპოდენტებმა შეავსეს წინასწარ მომზადებული კითხვარი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 97-მა რესპოდენტმა. მათგან 41 იყო ქალბატონი, ხოლო 56 კი მამაკაცი. გამოკითხვაში სხვადასხვა ასაკის რესპოდენტები მონაწილეობდნენ, რომელთაგან ყველაზე მეტი 71%-ი 25-40 წლამდე ადამიანები იყვნენ, ხოლო დანარჩენები კი სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები.

9. ჩვენს მიერ ჩატარებული რესპოდენტთა გამოკითხვით მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ექსპორტის განვითარებასა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორებია ქართული პროდუქციის დაბალი ხარისხი (42.2%) და ბიზნესისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე (39.2%), და იმისათვის, რომ ქართველმა მეწარმეებმა გაუწიონ სათანადო კონკურენცია უცხოურ კომპანიებს, საჭიროა

სახელმწიფომ დაეხმაროს მათ ინვესტიციების მოზიდვაში, ასევე შემუშავდეს პროგრამები ქართველი მეწარმეებისთვის იაფფასიანი კრედიტების მისაცემად, რის შედეგადაც ქვეყანაში შემოვა ახალი ტექნოლოგიები და გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. ხოლო სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს შორის რესპოდენტთა აზრით აუცილებელია განხორციელდეს მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება მათთვის შეღავათიანი სესხების გაცემის გზით (40.2%) და საგადასახადო შეღავათების დაწესება ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეებისათვის (28.9%), ასევე რესპოდენტთა აზრით მნიშვნელოვანია ლოგისტიკის გაუმჯობესებაც (24.7%).

10. საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებაში, ენიჭება სახელმწიფოს როლს. ამ მიმართებით რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგებმა დაგვანახეს, რომ ექსპორტის სტიმულირებისათვის სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ღონისძიებებს შორის თანაბრად მნიშვნელოვანია: საზღვარგარეთ სავაჭრო მისიების გახსნა (25.9%), ადგილობრივი საექსპორტო პროდუქციის კატალოგების განათავსოს ინტერნეტში (24.7%), საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობისთვის ბიზნესის წარმომადგენლების დახმარება (24.7%) და საზღვარგარეთ გამოფენების ორგანიზება (24.7%), ვინაიდან ისინი დაეხმარებიან ქართველი ბიზნესის წარმომადგენლებს საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის რეკლამირებაში და ცნობადობის ამაღლებაში.

11. საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმპორტის შემცირებას. გამოკითხულ რესპოდენტთა უდიდესი უმრავლესობის აზრით (76.3%) აუცილებელია განხორციელდეს იმ დარგების სტიმულირება, რომლებიც აწარმოებენ იმპორტ შემცვლელ პროდუქციას, ასევე ამ მიმართებით მნიშვნელოვანია საბაჟო გადასახადების რეგულირების გზით იმპორტის განსაზღვრულ დონემდე შემცირება, რაც დაიცავს ქართულ ბაზარს უცხოური კომპანიების ექსპანსიისაგან. ამავე მიმართებით მნიშვნელოვანია

საქართველოს გაერთიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რითაც ქართულ პროდუქციას გაეხსნა გზა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ბაზრებზე (40.2%), და გაიზარდა საერთაშორისო ბაზრებზე ხელმისაწვდომობა (38.1%).

12. გამოკითხულ რესპოდენტთა აზრით საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების პერსპექტივები მდგომარეობს, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში.

13. როგორც კვლევამ და სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა საქართველოს ექსპორტში პირველ ორ პოზიციას იკავებს საქონელი, რომელიც ძირითადად რეექსპორტს წარმოადგენს, ხოლო ძირითადი საექსპორტო საქონელი, რომელიც იწარმოება საქართველოში არის სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია. საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების პერსპექტივები სწორედ მდგომარეობს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში. ამ მიმართებით სახელმწიფოს როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რათა დაეხმაროს ფერმერებსა და სოფლად დასაქმებულ მოსახლეობას გაერთიანდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში და საერთაშორისო ბაზარისათვის აწარმოონ კონკურენტუნარიანი პროდუქცია. რითაც მნიშვნელოვანწილად განვითარდება გადამამუშავებელი მრეწველობა, გაიზრდება მოსახლეობის დასაქმების დონე, შემცირდება სოციალური დაძაბულობა და ქვეყანა გადავა განვითარების ახლ საფეხურზე.

14. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკები ურთიერთდამოკიდებულნი არიან, როდესაც მსოფლიოს რომელიმე რეგიონში მომხდარი მკვეთრი ეკონომიკური ცვლილება გავლენას ახდენს სხვა რეგიონების განვითარებაზე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, რომლის ძირითადი მიმართულებაა საგარეო ვაჭრობა. ამიტომაც საქართველოს ეკონომიკის

განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის ახალ დონეზე აყვანა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, რაც დამოკიდებულია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლებასთან და იმპორტ შემცვლელი პროდუქციის წარმოების გაზრდასთან. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს საექსპორტო საქონლის მწარმოებელთა სტიმულირება, გასაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროებში, დაეხმაროს ქართველ მეწარმეებს თავიანთი პროდუქციის რეკლამირებაში საზღვარგარეთ, რაც გახდება სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების საწინდარი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არევაძე ლ. საქართველოს ექსპორტის პრობლემები და ექსპორტის წამახალისებელი პროგრამები. IDFI. 28 ივნისი 2016. https://idfi.ge/ge/problems-of-georgia-export
2. ბიზნეს პრეს ნიუსი (bpn). ლევან დავითაშვილმა აგრარული დარგის განვითარების 2017 წლის პრიორიტეტები წარადგინა. 2016. https://bpn.ge/finansebi/30253-levan-davithashvilma-agraruli-dargis-ganvitharebis-2017-tslis-prioritetebi-tsaradgina.html?lang=ka-GE
3. დუდაური თ. სოფლის მეურნეობის საექსპორტო პოტენციალი და მისი როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. 2013. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 161-166.
4. ერქომაიშვილი გ. ექსპორტ-იმპორტის ტენდეციები და პოლიტიკა საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფე¬რენცია. თბილისი. 2013. კონფერენციის შრომათა კრებული გვ. 105-107.
5. თევდორაძე ლ. რეგიონში ვართ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს თავისუფალი ვაჭრობა, როგორც ევროპასთან, ასევე ჩინეთთან. https://factcheck.ge/ka/story/33423-regionshi-varth-erthaderthi-qveqhana-romelsats-aqvs-thavisuphali-vatchroba-rogorts-evropasthan-aseve-chinethhan
6. ლომთაძე მ. ბიძინაშვილი თ. . საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები. თბ. 2017. https://unigeo.edu.ge/ge/attachments/TeaBidzinashvili-monografia.pdf
7. ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე დ., ვადაჭკორია მ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ. 2009.

https://novatori.files.wordpress.com/2011/02/cigni2020sagareo20ekonomikuri20urtiertobebi-2009.pdf

8. სამჭკუაშვილი ნ. დუდაური თ. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის შრომათა კრებული. გვ. 23-27. თბ. 2018.
9. სამჭკუაშვილი ნ. საგარეო ვაჭრობის მარკეტინგი და და უცხოურ ბაზარზე შესვლის რისკების შეფასება. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბ.. 2013. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 552-555.
10. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საგარეო ვაჭრობა. თბ. 2019. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12
11. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2018. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_report_2018_.pdf
12. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. XXVIII თავი. იმპორტის გადასახადი. თბ. 2010. http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/tavi-XXVIII.pdf
13. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. რა არის DCFTA. http://www.moa.gov.ge/7/AboutDCFTA
14. საქართველოს შემოსავლების სამსახური. თავისუფალი ეკონომიკური ზონის სასაქონლო ოპერაცია. 2019. https://www.rs.ge/6290
15. საქსტატი. საგარეო ვაჭრობა. 2018. https://www.geostat.ge/ka/single-categories/99/sakartvelos-sagareo-vachroba
16. საქსტატი. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf

17. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმძღვანელო. თბ. 2015. http://gtu.ge/Library/Pdf/saerthashoriso.pdf
18. Волгина Н.А. Международная торговля: учебник. Москва: КНОРУС, 2018. 274 с. http://mdk-arbat.ru/bookcard?book_id=987683
19. Паладьев О. Топ-10 стран с наибольшим объемом импорта. 13.11.2018 https://niejournal.ru/top10-import/
20. Точицкая И. Влияние изменения обменного курса на торговый баланс. 2006. http://www.research.by/webroot/delivery/files/WP2006r01.pdf
21. Essays, UK. Product Life Cycle Theory. Retrieved from. November 2018. https://www.ukessays.com/essays/marketing/product-life-cycle-theory-marketing-essay.php?vref=1
22. GATT. Learn the basic principles underpinning the GATT. 2008. https://saylordotorg.github.io/text_international-trade-theory-and-policy/s04-05-the-general-agreement-on-tarif.html
23. Gehrke C. Foreign trade, international values, and gains from trade: Ricardo, Pennington, Whewell, and John Stuart Mill. 2011. http://www.centrosraffa.org/public/ae132dd3-5692-48d2-bf40-6cdbce86c5cc.pdf
24. Crowley M. A. An introduction to the WTO and GATT. 2005. https://pdfs.semanticscholar.org/70d1/083a4763e4a9cbbf31504a7e8a48f0625dc4.pdf
25. Jurevicius O. Porter's Five Forces. May 27, 2013. https://www.strategicmanagementinsight.com/tools/porters-five-forces.html
26. Latif M. I. Uruguay Round of GATT and Establishment of the WTO. 2009. https://www.jstor.org/stable/24711208?seq=1#page_scan_tab_contents
27. Macrory P.J., Appleton A.E., Plummer M.G. The World Trade Organization: Legal, Economic and Political Analysis. 2010. https://books.google.ge/books?id=96x7IwWDJUQC&pg=PA870&lpg=PA870&dq=General+regulation+at+the+global+level+is+carried+out+within+the+framework+of+the+GATS,+which+came+into+effect+on+January+1,+1995.&source=bl&ots=yLiAoRHYby&sig=ACfU3U2lOlA4U_JKhTf5NuFDs5NkVo_oBw&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjUpIfyjeHiAhUtl4sKHWDmDC0Q6AEwBHoECAcQAQ#v=onepage&q&f=false

28. Mikher S. Heckscher-Ohlin's Theory of International Trade. 2019. http://www.economicsdiscussion.net/heckscher-ohlins-theory/heckscher-ohlins-theory-of-international-trade/10697
29. Pettinger T. Mercantilism theory and examples. Economics help blog. March 31, 2017. https://www.economicshelp.org/blog/17553/trade/mercantilism-theory-and-examples/
30. Rothbard M. N. The Ricardian Law of Comparative Advantage. Austrian Economics, Freedom and Peace. 2012. https://mises.org/library/ricardian-law-comparative-advantage
31. Schumacher R. Adam Smith's theory of absolute advantage and the use of doxography in the history of economics. Erasmus Journal for Philosophy and Economics, Volume 5, Issue 2, Autumn 2012, pp. 54-80. https://www.researchgate.net/publication/301477128_Adam_Smith's_Theory_of_Absolute_Advantage_and_the_Use_of_Doxography_in_the_History_of_Economics
32. The World Bank. Global Rankings 2018. https://lpi.worldbank.org/international/global/2018
33. UNIDO. Annual Report 2016. https://www.unido.org/resources/publications/flagship-publications/annual-report/annual-report-2016
34. Wacziarg R. Welch K. Horn. Trade Liberalization and Growth: New Evidence. The World Bank Economic Reviw. 2014. .Pp. 187-231. http://documents.worldbank.org/curated/en/660841468162283031/pdf/775730JRN020080alization0and0Growth.pdf
35. World Trade Organization. Trends in International Trade. World Trade Report 2013. Pp. 47. https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/wtr13-2b_e.pdf
36. World Trade Organization. World Trade Statistical Review 2018. https://www.wto.org/english/res_e/statis_e/wts2018_e/wts2018_e.pdf
37. WTO. The Uruguay Round. 1996. https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact5_e.htm

დანართები

დანართი 1.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა (მილ. აშშ დოლარებში)

წელი	იმპორტი	წლიური ზრდა %	ექსპორტი	წლიური ზრდა %	სავაჭრო ბალანსის სალდო	სავაჭრო ბრუნვა
2010	5 257.1		1 677.5		-3 579.6	6 934.6
2011	7 057.8	34.4	2 189.1	30.5	-4 868.7	9 246.9
2012	7 842.1	11.1	2 377.4	8.6	-5 464.7	10 219.5
2013	7 874.4	0.4	2 909.3	22.4	-4 965.1	10 783.7
2014	8 601.8	9.2	2 861.0	-1.7	-5 740.8	11 462.9
2015	7 300.3	-15.1	2 204.7	-32.9	-5 095.6	9 505.0
2016	7 293.8	-0.1	2 112.9	-4.2	-5 180.9	9 406.7
2017	7 942.7	8.9	2 735.5	29.5	-5 207.2	10 678.1
2018	9 123.1	14.9	3 354.5	22.6	-5 768.6	12 477.6
საშუალო წლიური ზრდა (2010-2018)	X	8.0	X	9.4	X	X

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით[1]

[1] საქსტატი. საგარეო ვაჭრობა. 2018. თბ. 2019. https://www.geostat.ge/ka/single-categories/99/sakartvelos-sagareo-vachroba

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2018 წლის ბრუნვის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

ქვეყნები	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა		სავაჭრო ბალანსის სალდო
		%		%		%	
სულ:	3354.5	100	9123.1	100	12477.6	100	-5 768.6
თურქეთი	233	6.9	1470	16.1	1703	13.6	-1237
რუსეთი	437	13.0	939	10.3	1376	11.0	-502
აზერბაიჯანი	503	15.0	586	6.4	1089	8.7	-83
ჩინეთი	198	5.9	834	9.1	1032	8.3	-636
უკრაინა	175	5.2	516	5.7	691	5.5	-341
სომხეთი	285	8.5	342	3.7	627	5.0	-57
აშშ	160	4.8	360	3.9	520	4.2	-200
გერმანია	51	1.5	431	4.7	482	3.9	-380
ბულგარეთი	259	7.7	181	2.0	440	3.5	78
საფრანგეთი	45	1.3	263	2.9	308	2.5	-218

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით[2]

[2] საქსტატი. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი.
http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf

ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2017-2018 წლებში (მლნ. დოლარი).

	2017	2018
აზერბაიჯანი	272	503
რუსეთი	397	437
სომხეთი	210	285
ბულგარეთი	187	259
თურქეთი	217	233
ჩინეთი	202	198
უკრაინა	125	175
აშშ	122	160
ყაზახეთი	52	91

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით[3]

[3] საქსტატი. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf

დანართი 4

იმპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2017-2018 წლებში (მლნ. დოლარი).

	2017	2018
თურქეთი	1374	1470
რუსეთი	797	936
ჩინეთი	733	834
აზერბაიჯანი	554	586
უკრაინა	446	516
გერმანია	434	431
აშშ	268	360
სომხეთი	281	342
საფრანგეთი	135	263
იტალია	218	231

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით[4]

დანართი 5

გამოკითხვის კითხვარი

საქათველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საკითხები

1. **რომელია ის შემაფერხებელი ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ექსპორტის განვითარებას და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას?**
   - ქართული პროდუქციის დაბალი ხარისხი
   - მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა
   - ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის დაბალი ცნობადობა
   - ბიზნესისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე

[4] საქსტატი. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf

2. **თქვენი აზრით ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან რომელი უნდა გატარდეს, რათა გაუმჯობესდეს საქართველოს სავაჭრო ბალანსი?**
   - ადგილობრივი მეწარმეობის სტიმულირება, მათთვის შეღავათიანი სესხების გაცემა
   - საგადასახადო შეღავათები ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეებისათვის
   - ბიზნესისათვის მსოფლიო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება
   - ლოგისტიკის გაუმჯობესება
3. **თქვენი აზრით ექსპორტის სტიმულირების ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან, რომელიც უნდა განახორციელოს სახელმწიფომ, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?**
   - ადგილობრივი საექსპორტო პროდუქციის კატალოგების ინტერნეტში განთავსება
   - საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის მხარდაჭერა
   - საზღვარგარეთ გამოფენების ორგანიზება
   - საზღვარგარეთ სავაჭრო მისიების ორგანიზება
4. **თქვენი აზრით იმპორტის შესამცირებლად, რომელი ღონისძიებების გატარებაა მნიშვნელოვანი?**
   - მოახდინოს იმ დარგების სტიმულირება, რომლებიც აწარმოებენ იმპორტ შემცვლელ პროდუქციას
   - საბაჟო გადასახადების გაზრდით დაიცვას ადგილობრივი ბაზარი
   - აკრძალოს იმ სახის პროდუქციის შემოტანა, რომლის ანალოგსაც აწარმოებენ ადგილობრივი მეწარმეები
5. **როგორ ფიქრობთ ქართულმა ბიზნესმა, როგორ უნდა გაუწიოს კონკურენცია სხვა ქვეყნებს, როგორც საერთაშორისო ისე, ეროვნულ ბაზრებზე?**
   - აწარმოოს განსხვავებული ნიშანთვისებების მქონე პროდუქცია
   - აწარმოოს მაღალი ხარისხის პროდუქცია

- პროდუქციის ხარისხი უნდა შესაბამებოდეს მის ფას
- გააუმჯობესონ პროდუქციის შეფუთვა

6. **რომელია ის მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა მოუტანს საქართველოსა და ქართულ ბიზნეს?**
   - საერთაშორისო ბაზრების ხელმისაწვდომობა
   - ქართული პროდუქციის ცნობადობის გაზრდა
   - თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან
   - გაიზრდება ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა
   - ქართულ პროდუქციას მოიყვანს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში
7. **რომელ სფეროში ხედავთ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების პერსპექტივებს?**
   - სოფლის მეურნეობაში
   - ბუნებრივ რესურსებში
   - გადამამუშავებელ მრეწველობაში
   - მეცნიერებატევადი დარგების განვითარებაში
8. **ასაკი?**
   - 18-25 წლამდე
   - 25-40 წლამდე
   - 40-65 წლამდე
   - 65 წელს ზევით
9. **სქესი?**
   - მამრობითი
   - მდედრობითი
10. **განათლება?**
    - საშუალო
    - უმაღლესი